პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 96 (11402)
კვირა
26
აპრილი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვა თელავის რაიონის სოფელ შალაურის კოლმეურნეობის მინდვრებში.

შენთვის, ახალი ცხოვრების შემოქმედო!

საბჭოთა ადამიანო!

რამდენი გმირობა და სიმამაცე, სიყვარული და ადამიანური გრძნობებია ჩაქსოვილი ამ სიტყვებში, რამდენი სიმართლე, სიმტკიცე და შეუპოვრობა.

„წაიკითხეთ და
აღივსეთ შურით
საბჭოთა ქვეყნის
ვარ მოქალაქე!“

წერდა ვლადიმერ მაიაკოვსკი. წერდა და ამაყობდა, რომ საბჭოთა ადამიანი პირველი სოციალისტური რევოლუციის შემოქმედია, ამ რევოლუციის მონაპოვართა მამაცურად დამცველი და სოციალიზმის მგზნებარე მშენებელი.

საბჭოთა ადამიანმა იხსნა მთელი მსოფლიო ფაშისტური ბარბაროსობისაგან. საბჭოთა ადამიანმა პირველმა გაუშვა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, პირველმა შეუტია მზესა და მთვარეს და კოსმოსური რაკეტით განაცვიფრა მთელი მსოფლიო.

დიადია საბჭოთა ადამიანის ოწყო, უფრო დიადია მისი მომავალი. გადიან დღეები, შემოქმედებითი შრომის ნათელი დღეები და საბჭოთა ადამიანი ახალ-ახალ სასწაულებს ახდენს. ხალხის მრავალსაუკუნოვან ოცნებებს ფრთას ასხამს საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა, იზრდება ხალხთა სულიერი მოთხოვნილებანი, ვითარდება ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება, მათი ყოფა-ცხოვრება.

„ბევრს წყალს ჩაუვლია ქვეყანაზედ, — წერდა სამოციოდე წლის წინათ ილია ჭავჭავაძე, — მაგრამ, გვგონია, ადამიანს ბევრჯელ არ ენახოს ამისთანა გამოურკვეველი ყოფა... ჰაერი გარშემო დახშულია, ადამიანს სული უგუბდება, სული გვამში ვეღარ მოუტრიალებია, ადამიანს რაღაცა ჰწყურიან, რაღაცა ჰშიან, რაღაცას ეტანება მთელის თავის არსებითა, მაგრამ... მისაწვდომს ვერ მისწვდომია. გვეჭყეტია თვალები და თავ-გაბრუებულები შევყურებთ ხვალინდელ დღესა“.

ეს ხვალინდელი დღე საბჭოთა ადამიანმა სისხლითა და ოფლით მოიპოვა. მოიპოვა და ახლა კიდევ უფრო უკეთესი მერმისისათვის „ღვრის ოფლსა“.

თავისუფალია მისი მკლავი და გონება. შრომობს და ნაშრომი მისია; ამკობს, აკეკლუცებს, ამშვენიერებს, აძლიერებს თავის ქვეყანას და ეს ქვეყანა მისია — შობლიური, სათაყვანები და საამაყო; მისია ეს ქალაქები და სოფლები, ქარხნები და ფაბრიკები, მაღაროები და შახტები, სკოლები და სამკითხველოები, უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებები; მისია სამშობლო ქვეყნის ყველა სიკეთე, მან ეს ბრძოლითა და შრომით დაიმსახურა.

ლენინურმა პარტიამ ქვეყნის ახალი ძლიერებისათვის, იმისათვის, რომ უფრო ლაღი და მშვენიერი იყოს საბჭოთა ადამიანის ცხოვრება, დასახა შვიდწლიანი გეგმა. საბჭოთა ხალხი როგორც ერთი კაცი შრომობს და იღწვის მისი შესრულებისათვის. ამ შთამაგონებელ შრომაში დღითიდღე ვლინდებიან ახალი ყოფის ადამიანები, კომუნისტური შრომის ადამიანები, რომლებიც აახლოებენ კაცობრიობის ნათელ მომავალს — კომუნიზმს.

ჩვენი დიადი სამშობლო ყველაფერს აკეთებს ამ ადამიანთა ლაღი და ბედნიერი ცხოვრებისათვის. მარტო საქართველოში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქალაქად აიგო 2 მილიონ ნახევარზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინები, ხოლო სოფლებში 47 ათასზე მეტმა კოლმეურნემ აიშენა მშვენიერი სახლი. ვინ მოსთვლის რამდენი ახალი სკოლა, სბავშვო ბაღი, ბაგა, საავადმყოფო და სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებანი აშენდა. შარშან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა იყიდეს 2 მილიარდ 700 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სამრეწველო და სასურსათო საქონელი ვიდრე 1954 წელს.

მარტო ის ფაქტი, რომ მოსახლეობის სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში ერთიორად ნაკლებია, ვიდრე ინგლისში, საფრანგეთსა და ბელგიაში და ერთნახევარჯერ ნაკლები ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმაზე მეტყველებს თუ როგორ მაღალ დონეზეა ჩვენში შრომის კულტურა, ადამიანთა საყოფაცხოვრებო პირობები, როგორ ზრუნავს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ამაღლებისათვის.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კიდევ ერთხელ გაუკეთა ღრმა ანალიზი რესპუბლიკაში შრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების, მათი მზარდი მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილების საკითხს და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა განხორციელი შესრულებისათვის შრომობენ ახლა ჩვენი რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და სოფელში.

„კეთილმოწყობილი სოფლებისათვის, სუფთა, ლამაზი ქარმიდამოებისათვის“ — ასე წერენ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გურჯაანის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება საბჭოთა ადამიანის ინტერესებისათვის, მისი ბედნიერებისათვის... გურჯაანელი გლეხი დღეს ის აღარ არის, რაც გუშინ იყო. იგი წელგამართული, „კულტურული მეურნეა“... ამიტომ მათ სურთ: აიშენონ ახალი სახლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები, მაღაზიები; ყველა ეზო იყოს სუფთა და ჰქონდეს ლამაზი ღობე, ქუჩები იყოს კეთილმოწყობილი, გზები გამწვანებული.

მშრომელთა ასეთი აქტივობა დამონდომებაა რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც. მისაბაძი და საერთო გავრცელების ღირსია მთელი რიგი კოლმეურნეობების ხელმძღვანელების კარგი ინიციატივა, რომლებმაც დაიწყეს საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვადასხვა საწარმოთა მოსაწყობათ ახალ შენობათა აგება და სამომხმარებლო კოოპერაციისათვის გადაცემა.

და კიდევ რამდენი რამ ახალი კეთდება იმისათვის, რომ არსებითად გაუმჯობესდეს მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება, სრულად დაკმაყოფილდეს მათი მზარდი მოთხოვნილება.

მაგრამ სწორი არ იქნება მიღწეულით დავკმაყოფილდეთ. ჯერ კიდევ მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების მხრივ ძალიან ბევრია გასაკეთებელი. საზოგადოებრივი კვების მთელი რიგი საწარმო ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებას. ვაჭრობის სამინისტრო, სამომხმარებლო კოოპერაცია სასადილოებს სათანადოდ ვერ ამარაგებენ ხორცით, რძით, თევზით, ბოსტნეულით. ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ჯერ კიდევ საკმარისი არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა ქსელი. ნაკლები ყურადღება ექცევა მცირეგაბარიტიანი ავეჯების მომზადებას. მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ნაკლებად ზრუნავენ ფეიქრები და მკერავები. პრაქტიკაში არ არის დანერგილი სასურსათო საქონლის — პურის, რძის, ხორცისა და კარტოფილის შინ მიტანით ვაჭრობა.

აქაც, ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის გადამწყვეტია ადამიანები, კადრები, რომლებსაც მინდობილი აქვთ მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება. ამ კადრების შერჩევა, აღზრდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების. საბჭოთა ორგანოებისა და სამინისტროების მუშაობის ძირითადი ამოცანაა. საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში უნდა გაიგზავნონ . მცოდნე ადამიანები, რომლებიც კეთილსინდისიერად, პატიოსნად შეასრულებენ მოსახლეობის მომსახურების საპატიო საქმეს. უნდა გაძლიერდეს კონტროლი და მომთხოვნელობა საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო საწარმოთა მუშაობისადმი. ამ საპატიო საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, საზოგადოებრივმა კონტროლიორებმა მუშათა, მოსამსახურეთა, მოსწავლეთა, დიასახლისთა წრიდან, სამომხმარებლო კოოპერაციის სარევიზიო და სასადილოს კომისიებმა.

მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება, მათი მზარდი მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილება დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანაა, მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჩვენი სამშობლო, დიადი კომუნისტური პარტია.

ეს გულთბილი, მშობლიური ზრუნვა თავისი შთამაგონებელი შრომით დაიმსახურა საბჭოთა ადამიანმა, შემოქმედმა, ნოვატორმა საბჭოთა ადამიანმა, რომელიც პოეტის თქმით აშენებს

„ახალ ცხოვრებას საამურს მარად!
ახალ სიცოცხლეს ჩვენს გასახარად“.

ორდენებისა და მედლების გადაცემა

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. რ. კომახიძემ საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები გადასცა სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშაკთა ჯგუფს.

ლენინის ორდენი გადაეცა საბიტუმო დანადგარის ოპერატორს, ძველ მენავთობეს შ. გერაძეს.

შრომის წითელი დროშის ორდენები გადაეცათ ქარხნის დირექტორს ზ. ფირიაშვილსა და ზეთსაწმენდი დანადგარის ოპერატორს გ. ჯიქიძეს.

„საპატიო ნიშნის“ ორდენები მიიღეს ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა ს. დოლიძემ, კრეკინგდანადგარის ოპერატორმა ს. მკრტიჩიანმა და ქარხნის პარტკომის მდივანმა ნ. პრიხოდკომ.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებულია ერთი, ხოლო მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ ორი კაცი. ამხ. რ. კომახიძემ დაჯილდოებულთ მიუსოცა მთავრობის მაღალი ჯილდოები და უსურვა მათ ახალი წარმატებები შრომაში.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვით გამოვიდა ქარხნის დირექტორი ზ. ფირიაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა პარტიას და მთავრობას მენავთობეთა შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვა, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი ენერგიით იმუშავებენ, რათა თავიანთი წვლილი შეტანონ შვიდწლედის დიადი პროგრამის განხორციელებაში.

რომ უფრო დავამშვენოთ საბჭოთა ადამიანის ცხოვრება

ჩვენი რესპუბლიკის ერთი დღე

★ ★ ★ ★

პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირში

ქოგულეთი. (საკ. კორ.). ოჩხამურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა სასიხარულო ცნობა მიიღო: საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გასული წლის მუშაობის საუკეთესო შედეგებისათვის მეურნეობის კოლექტივს კვლავ მიენიჭა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

როგორც ცნობილია, მეურნეობის კოლექტივი 1957 წლის შედეგებთაც პირველ ადგილზე გამოვიდა. შარშან კი მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებულმა ოჩხამურელმა მეჩაიეებმა კიდევ უფრო დაძაბულად იმუშავეს, მოკრიფეს და მრეწველობას ჩააბარეს 2 ათას 661 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 300 ტონა გეგმის გადამეტებით. საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 5.562 კილოგრამი ფოთოლი. ზეგეგმითმა მოგებამ 1 მილიონ 563 ათას მანეთს გადააჭარბა, შრომის ნაყოფიერება ვაიზარდა 18,5 პროცენტით, ერთი ტონა ჩაის ფოთლის თვითღირებულება შემცირებულია 21 მანეთით.

სასიხარულო ცნობას მეურნეობის კოლექტივი ახალი შრომითი გმირობებით უპასუხებს. მან სასახელოდ შეასრულა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება — მთლიანად დაამთავრა თითქმის 500 ჰექტარი ფართობის გადაბარვა მინერალური და ორგანული სასუქების შეტანით, აგრეთვე ჩაის გასხვლა-გაფორმება და სანიმუშოდ მოემზადა ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის.

მეურნეობის მუშებმა და აგროსპეციალისტებმა აიღეს ახალი ვალდებულება— წელს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ სულ ცოტა 150 ტონა ჩაის ფოთოლი.

~ საკოლმეურნეო მინდვრებზე ~

ზესტაფონი. ვაზის გასხვლა-გაფორმების სამუშაოებში თავი ისახელეს სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ნაკისრი ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადები, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირი გ. კვანტრიშვილი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. კვანტრიშვილი ხელმძღვანელობენ. მათ უკვე დაასრულეს ვენახის საგაზაფხულო სამუშაოები.

სიმინდის თესვაში დაწინაურდა სოფელ კვალითის კოლმეურნეობა „ვაზი“, რომელმაც გუშინდლისათვის 40 ჰექტარი სიმინდი დათესა.

ყვარელი. გუშინ მთლიანად დაამთავრა სიმინდის თესვა სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ. დათესილია 418 ჰექტარი. ახლა სიმინდი ითესება გეგმის გადამეტებით. ტრაქტორისტებმა ბ. მირინაშვილმა, ი. ბადრიძემ გუშინ გეგმის გადამეტებით 14 ჰექტარი სიმინდი დათესეს.

კვლავ წინ მიდიან ჭიკაანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტები გ. ოსიაშვილი და დ. ყაველაშვილი. ისინი მუშაობენ ქარელელი მექანიზატორის ამხ. სიხარულიძის

25 აპრილი

მეთოდით და 25 აპრილს ათ-ათი ჰექტარი სიმინდი დათესეს.

ჩოხატაური. დაწინაურდა სოფელ გორაბერეჟოულის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ილია სირაძე ხელმძღვანელობს. აქ კვადრატულ-ბუდობრივად უკვე 40 ჰექტარი სიმინდი დათესეს. ბრიგადის წევრებმა ერმილე და ლადო დოლიძეებმა გუშინ სიმინდის თესვის დღიური ნორმა ორმაგად შეასრულეს. მათი პირობაა სიმინდის თესვა დაამთავრონ 28 აპრილამდე.

გეგეჭკორი. კურზუს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გუშინ გეგმის გადამეტებით 2,2 ჰექტარი სიმინდი დათესეს. მერვე ბრიგადამ (ბრიგადირი მ. მარგოშია) გეგმის ზვით ნახევარი ჰექტარი სიმინდი დათესა, ხოლო მეოთხე ბრიგადამ (ბრიგადირი ა. გადილია) ერთი ჰექტარი. მოწინავე გუთნისდედებმა პ. ეხართიამ, ა. ამორტიამ, ბ. გაბისონიამ, ი. ბერულავამ დღიური დავალებები ორმაგად შეასრულეს.

თარჯოლა. სოფელ ზედაალისუბნის კოლმეურნეობამ გუშინ დაამთავრა საგაზაფხულო კულტურების თესვა. ზედაალისუბნელებმა დათესეს 120 ჰექტარი სიმინდი, 11 ჰექტარი მრავალწლიანი ბალახები.

საგაზაფხულო სამუშაოების ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ კოლმეურნეობის ტრაქტორისტები ბ. კირკიტაძე და ტ. ზარნაძე.

თესვა დაამთავრა აგრეთვე სოფელ თუზის კოლმეურნეობა „ვარდაგორამ“.

მაისის ანგარიშში

ჭიათურა. (საკ. კორ.). შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში დაწინაურდა დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც ვადამდე გაანაღდა საანგარიშო მარგანეცის დამზადების პირველი კვარტალის გეგმა და მეტალურგიულ ქარხნებს გეგმის გადამეტებით გაუგზავნა რამდენიმე ათასი ტონა მარგანეცი.

მაღალნაყოფიერად შრომობენ წარჩინებული მაღაროელები საქალაქო საბჭოს დეპუტატები ტ. ჭიღლაძე, გ. ღვთაძე, ბ. აბრამიშვილი, აგრეთვე გ. ჟორჟოლაძე, ა. ყაველაშვილი, ა. ჭიღლაძე, ი. ქართველიშვილი და სხვები, რომლებიც იბრძვიან პირადი შვიდწლიანი გეგმის ხუთ წელიწადში შესრულებისათვის. ისინი მარგანეცს უკვე მაისის ანგარიშში იძლევიან.

დაზოგეს 118 ათასი მანეთი

ნავთლუღელმა მელიანდაგეებმა პირველ კვარტალში შეასრულეს ლიანდაგის აწევითი შეკეთებისა და ნელვიხრ ნაგებობათა რემონტის 6 თვის გეგმა. საანიმუშო მდგომარეობაშია მოყვანილი სალიანდაგო მეურნეობა, ყველა სახის სამუშაოზე გაკეთებულია 118.000 მანეთი ეკონომია.

ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია ნავთლუღელ მელიანდაგეთა შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებმა. საპირველმაისო შრომითის ვახტზე მდგომმა მელიანდაგეებმა იკისრეს გეგმით გათვალისწინებული 0,7 კილომეტრის ნაცვლად რელსები შეცვალონ 1,5 კილომეტრ მანძილზე.

ხოგელი მეჩაიეები

ხობი. (საკ. კორ.). სოფელ ნოჯიხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, რომლებიც საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი, ენერგიულად იბრძვიან მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების დროულად და ხარისხოვნად შესრულებისათვის. ნოჯიხევლელმა კოლმეურნეებმა რაიონში ყველაზე ადრე დაამთავრეს ჩაის პლანტაციის გადაბარვა მინერალური სასუქების შეტანით, აგრეთვე სადრენაჟო არხების გაწმენდა, ბუჩქების გასხვლა. ახლა კოლმეურნეები ჩაის ფოთლის კრეფისათვის ემზადებიან.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც გ. ჩიტაია ხელმძღვანელობს. შარშან ამ ბრიგადამ რაიონში ყველაზე მეტი მოსავალი მიიღო: 8 ჰექტარი პლანტაციის საშუალოდ ჰექტარზე 4.480 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი. წელს ბრიგადის ვალდებულებაა ჰექტარზე 5.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული მიიღოს.

საკოლმეურნეო მინდვრებში ბეჯითად მუშაობენ აგრეთვე ახალი ხიბულის კიროვის სახელობის, საჯიჯოს ლენინის სახელობის და ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობები.

რკინიგზელთა დასვენებისათვის

ამიერკავკასიის რკინიგზის პროფკავშირულ ორგანიზაციებს რკინიგზელთა დასვენებისა და სანატორიული მკურნალობისათვის გამოყოფილი აქვთ 2 მილიონ მანეთზე მეტი.

წელს კისლოვოდსკში, სოჭში, წყალტუბოში, გაგრაში და სხვა ადგილებში დაისვენებს და იმკურნალებს 3.000-ზე მეტი რკინიგზელი. სანატორიუმების საგზურებით უკვე იმკურნალა 183 კაცმა, ხოლო დასასვენებელ სახლებში იმყოფებოდა 257 რკინიგზელი მუშა-მოსამსახურე. მეორე კვარტალში სანატორიუმებსა და დასასვენებელი სახლების საგზურებს მიიღებს 933 კაცი.

ამჟამად მანგლისში, წყნეთში, კოჯორში, ლესელიძეში, სურამში, წაღვერში, წყნეთში, გუდაუთაში და ახალ ათონში მიმდინარეობს პიონერთა ბანაკების მომზადება საზაფხულო არდადეგებისათვის. აქ ზაფხულს გაატარებს რკინიგზელთა 4.000-ზე მეტი ბავშვი. გარდა ამისა, ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სანიტარული სამსახური სანატორიული მკურნალობისათვის გზავნის 200 ბავშვს.

ვ. ძველაძე.

არხილოელი მექანიზატორების გადაწყვეტილება

წითელწყაროს რაიონში ფართოდ ინერგება სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება.

სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც გ. თინაშვილი ხელმძღვანელობს, გაეცნო გიორგი სიხარულის პატრიოტულ თაოსნობას. ბრიგადამ მიიღო გადაწყვეტილება ფართოდ დანერგოს გიტალოვის მუშაობის მეთოდი და უზრუნველყოს სათოხნი კულტურების კომპლექსური მეთოდით დამუშავება.

გ. თინაშვილმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის № 5 ბრიგადის აგრეგატი, რომელსაც თ. ტოკლიკიშვილი ხელმძღვანელობს, და ვალდებულება აიღო 100 ჰექტარ ფართობზე სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესოს შემჭიდროებულ ვადებში, თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 27 ცენტნერი სიმინდი და 300 ცენტნერი მწვანე მასა. ნაკისრი ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლა ბრიგადამ უკვე დაიწყო, სიმინდი დათესილია ათობით ჰექტარზე.

დაიწყო კულტივაცია

სიღნაღი. (ტელეფონით „კომუნისტის“ კორ.). ძველი ანაგის სტალინის სახელობის და ბოდბისხევის კოლმეურნეობებში დაიწყო მზესუმზირას კულტივაციისა. ტრაქტორისტები ბ. პოპიაშვილი და ა. კანდელაკიშვილი დღეში 10 ჰექტარს ნაცვლად კულტივაციას ასრულებენ 14 ჰექტარზე თვითეული.

მეფრინველეობის ფერმაში

საჩხერე. (საკ. კორ.). სოფელ საკანეში, რომელიც თავისი ბუნებითა და მდებარეობით ერთ-ერთი საუკეთესოა საჩხერეში, შეიქმნა მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა. მას ათი ჰექტარი ფართობი უჭირავს.

ჯერჯერობით ფერმაში ათასამდე კვეცხმდებელი ქათამია. ფრინველისათვის მოწყობილია ბინები, საბუდრები, ფარდულები. შენდება ორი შენობა, რომელთა სიგრძე ასი მეტრი იქნება.

თევზი „თბილისის ზღვაში“

წელს საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტს თევზის მომრავლების მიზნით გათვალისწინებული აქვს „თბილისის ზღვაში“ გაუშვას ვოლხოვის თევზმომშენებელი ქარხნიდან მიღებული ერთი მილიონი რიპუსის ქვირითი. გარდა ამისა, „თბილისის ზღვაში“ გაშვებული იქნება 15.000 ცალი ერთწლიანი ცისარტყელა კალმახი.

თევზით გამდიდრდება ჯანდარის ტბაც. აქ განზრახულია მოსაშენებლად გაუშვან 80.000 ცალი სარკისებრი კობრი და 3.000.000 რიპუსი, ხრამის წყალსაცავში 2.000.000 სევანის კალმახი, ხოლო ფარავნის ტბაში 10.000.000 რიპუსი.

~ ოლიმპიადა ~

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანში ბოლო ოლიმპიადა ჩატარდა ოცდაერთი წლის ბიჭებს შორის. ოლიმპიადაში 100 ბიჭი მონაწილეობდა. ოლიმპიადის ბოლოს ბ. ბ. ბ.

„რძის ნაკადულები“

სოფლის მყუდროება ტრაქტორების ხმაურმა დაარღვია. მორიგე მწყემსები თვალების ფშვნეტით გამოვიდნენ გარეთ, ფერმის წინ მოჩუხჩუხე წყლით ხელ-პირი დაიბანეს და იქვე მდგომ მწველავ კატო კვინიკაძეს შეეხმიანენ:

— დღესაც დაგვასწარი. შე დალოცვილო, ღამით არა გძინავს?

კატო დუმდა. მხოლოდ გაღიმა და განაგრძო გზა ფერმისაკენ. ძროხებმა კარებიდანვე იცნეს თავიანთი მზრუნველი... სახელდახელოდ გადაიცვა სპეცტანსაცმელი, დაიმკლავა, ჯაგრისი მოიმზადა და სათითოოდ ჩამოუარა პირუტყვს, გაწმინდა, გაასუფთავა, მიუალერსა.

ალიონიდანვე ფერმისაკენ გაეუწყვეტლივ მოედინებოდნენ მწველავები, მწყემსები. ყველამ თვის საქმეს მიაშურა, მრავალი ნათურებით გაჩირაღდნებულ პირუტყვის სადგომებში მომუშავე ადამიანებმა კარგად იცოდნენ თავიანთი მოვალეობა. ყველაფერი წინასწარ განსაზღვრული, მოფიქრებული და დაგეგმილი იყო. გაქათქათებულ ვედროებში გაისმოდა რძის ნაკადების განუწყვეტელი შხუილი. მცირე დროშიც კი ყველასათვის კატო კვინიკაძეს გაესწრო. მას უკვე მოეთავებინა კოსტრომული ჯიშის ორივე ძროხის წველა და ახლა ველის წითელი ჯიშის პირუტყვს უალერსებდა.

ამ სახელოვან მწველავს გამოვეს. მას მუშაობაზე ხელი არ აუღია. ყოველ შეკითხვაზე მოკლე და გარკვეულ პასუხს იძლეოდა.

არც თუ ისე დიდიხანია, რაც კატო ფერმაში მოვიდა. სამი წლის წინათ მებაღეობის ბრიგადაში მუშაობდა. ხილის მოსავლიანობის გადიდებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ითვლებოდა. ბევრჯერ ისახელეს თავი ავნეველებმა ხილის უხვი მოსავლის მიღებით, და ყოველთვის ამ საპატიო საქმეში თავისი წვლილი შეჰქონდა კატო კვინიკაძეს.

კოლმეურნეობის გამგეობამ მოითხოვა უნარიანი კადრებით ფერმის განმტკიცება. კატო კვინიკაძემ ისურვა ფერმაში მწველავად წასვლა. მას შემდეგ მუშაობს კატო ფერმაში. მალე შეეჩვია, შეეზარდა ფერმის ცხოვრებას, კიდევ უფრო მეტი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მეცხოველეებში.

— თვითეულ ძროხაზე შარშანდელი მაჩვენებელი 2.000 კილოგრამს აჭარბებს, წელს კი სამი ათასი იქნება, — ამბობს კატო.

არ შემცდარან ავნეველი კოლმეურნეები, ერთსულოვნად რომ აირჩიეს კატო კვინიკაძე საოლქო საბჭოს დეპუტატად. იგი ახლა უფრო მონდომებით მუშაობს.

— რამდენი ლიტრი რძე მოწველეთ ამ დღით? — ეკითხებით დეპუტატს.

— თვითეულ ძროხაზე ხუთიექვსი. საღამოს კი ორჯერ გაიზრდება ეს მაჩვენებელი.

ფერმის შესვალთან ძროხას სწველიდა რუსიკო ყაზახაშვილი.

კატო კვინიკაძეს და რუსიკო ყაზახაშვილს დიდი პაექრობა აქვთ. მათს შრომით საქმეებზე ხშირად ლაპარაკობენ ფერმაში, სოფელში. რუსიკო და კატო ერთმანეთს ეჯიბრებიან. ამიტომ იყო, რომ რუსიკომ აღმრიცხველ რომან ჭიღლაძეს მოსთხოვა საღრიცხვო რვეულში ზუსტად ჩაეწერა დილით მოწველილი რძის რაოდენობა. ისიც ამ ორ სახელოვან მწველავთან არის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული და მასაც აინტერესებს თანამებრძოლების დილის შედეგები.

— დედი, არც ჩვენ ჩამოვრჩენილვართ, კატომ მხოლოდ სამი ლიტრით გაგვასწრო, საღამოს ჩვენ ვაჯობებთ, — გაისმა გოგონას ხმა.

ეს ნათელა დავითიძე იყო, ავნეველის საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე. იგი თავისუფალ დროს მუდამ ფერმაშია, დედას ეხმარება. ელიჩკა დავითიძეც ამაყობს თავისი გოგონას სიმამაცით.

— სკოლაში როგორ სწავლობ, რამდენი სამიანი გაქვს? — ეკითხებით ნათელას. გოგონას სახე აუწითლდა, გაკვირვებულმა შეგვხედა, თითქოს გვეუბნებოდა, რატომ სამიანებზე მეკითხებით და არა ხუთიანებზეო.

— ჩვენი გოგონა ფრიადოსანია, — ნათელას ნაცვლად გვიპასუხა კატო კვინიკაძემ.

— დეიდა ელენე, მოშველება ხომ არ გინდა? — გაისმა ნათელას ხმა.

— არა, — იყო პასუხი. ნათელას ფხიზელმა თვალმა შორიდანვე შენიშნა, რომ ელენე კვინიკაძისათვის მოსავლელად მიჩენილი ძროხა „ნიშა“ ნამატს იძლეოდა. დღეს ეს მეორე ხბოა, — გვითხრა ელენემ. ერთი საათის წინ „ეთერამ“ მოგვცა ჯანმრთელი ნამატი. ამ დღეს სამი ხბო მიიღეს ფერმის მუშაკებმა.

— რამდენი ძროხა გყავთ ფერმაში? — ვეკითხებით სამსონ თხელიძეს.

— ას სამოცდათხუთმეტი.

— რამდენმა მოიგო ხბო?

— ას ოცდაათმა. ნამატი მთლიანად შენარჩუნებულია.

— ბერწად არც ერთი ძროხა არ დარჩენილა, — ჩაერია საუბარში აღმრიცხველი რ. ჭიღლაძე. სამსონ თხელიძე ხბოებისაკენ მიგვიძღვება. ელიჩკა დავითიძეს ხელოვნური საწოვრები რძით აუვსია და ხბოებს კვებავს.

— თვითეულ ხბოს იმის მიხედვით ეძლევა რძე, თუ როგორია მისი ცოცხალი წონა, — გვითხრა მწველავმა და ფერმაში სვეტზე გაკრულ ქაღალდზე მიგვითითა. გავეცანით მის შინაარსს. მასში მოთხრობილია ხბოების ხელზე კვების წესების შესახებ. იქვე ნაჩვენებია როგორც ძროხების, ისე ხბოების კვების რაციონი. ძროხების რაციონი მრავალფეროვანია. სილოსი, დაქუცმაცებული ჩალა, ნამჯა, წინასწარ შემზადებული კომბინირებული საკვები... პირუტყვს თავის დროზე ეძლევა მარილი, ხოლო ავტომატური სარწყულებლებით სურვილის მიხედვით სვამს წყალს.

ჩვიდმეტი მწველავია ავნეველი-ში ფერმაში. ჩვიდმეტივე ერთიერთს ეჯიბრება წველადობის გადიდებისათვის. ყოველდღიურად ჩვიდმეტი ქალი ეზიდება ყველის ამოსაყვანი განყოფილებისა და სეპარატორისაკენ რძით ავსებულ ვედროებს. მოდის რძის ნაკადულები, ნინო ჯავახიშვილი, რომლისთვისაც ყველის ამოყვანა დაუვალებიათ, რძის გადამუშავებას ვერ ასწრებს.

— ყოველდღიურად ქალაქ სტალინირში რამდენიმე ბიდონ რძეს ვეზიდებით სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად, — გვეუბნება ნინო.

— რამდენი კილოგრამი რძე გაგზავნეთ დღეს სტალინირში?

— ოთხასამდე. ხშირად კი გაცილებით მეტს ვგზავნით.

იოლი საქმე როდია სამი თვის განმავლობაში ორმოცდათვრამეტ ათას კილოგრამზე მეტი რძის მიღება. ეს ხომ შარშანდელ მაჩვენებელს მთელი თვრამეტი ათასი კილოგრამით აღემატება. ყველი მარტო ნინო ჯავახიშვილს ამოჰყავს. საკოლმეურნეო საწყობებში ნინოს ხელით ამოყვანილი ყველი გორად დგას.

არც მეორე შალვა ჯავახიშვილია უქმად. რაც მეტ რძეს მიიღებენ ფერმაში, მით უფრო მეტი სამუშაო აქვს მეორეს. შალვა დაუღალავად შრომობს. მისთვის მოსავლელად მიჩენილი ღორები მადიანად შეექცევიან გემრიელ საკვებს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში თხუთმეტი ღორი მიჰყიდეს ავნეველებმა სახელმწიფოს და თხუთმეტივე შალვას მიერ იყო გასუქებული.

— ახლა ოცდაცამეტ ღორს ვასუქებ, — გვეუბნება შალვა.

ალიონიდან გვიან დაღამებამდე არ წყდება მუყაითი შრომა გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში. ბეჯითი ადამიანები სულ უფრო ამაღლებენ პირუტყვის პროდუქტიულობას, განუწყვეტლივ იზრდება რძის „ნაკადულები“.

ი. თედიაშვილი,
ა. ჭლიგვაშვილი.

ზნაურის რაიონი, სოფელი ავნევი.

• • •

სურათზე: მწველავი კატო კვინიკაძე.

ფოტო ვ. უბოყენკოსი.

ერთხელ კიდევ ქართული ღვინის ხარისხის შესახებ

პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით განსაზღვრულია საბჭოთა საქართველოს მეღვინეობისა და მეღვინეობის შემდგომი მძლავრი განვითარების დიდებული პერსპექტივები. ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრის კონკრეტული გზები დასახა რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც მიეძღვნა მეღვინეობისა და მეღვინეობის მოგომარეობისა და შემდგომი განვითარების საკითხებს. ქართველ მკვლევართა, მეღვინეთა და მეღვინე სპეციალისტთა ვალია არათუ შეუნარჩუნონ ქართულ ღვინოს საუკუნეობით მოხვეჭილი autoritetი, არამედ უფრო აამაღლონ მისი ხარისხი და ღირსება.

პროფესორ გ. ბერიძის წერილის გამო გამართული კამათი სწორედ დროულია. იგი აუწყებს როგორც მეღვინეთ, ისე მეღვინე სპეციალისტებს, რომ საჭიროა ბრძოლა ქართული ღვინის ღირსებისა და მარკის შენარჩუნებისათვის.

ჩვენი აზრით, ამ დიდ ღონისძიებას მხოლოდ კარგი სურვილები ვერ გადაჭრის, არამედ უნდა გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები. უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია განსორციელდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ამასთან ერთად საჭიროა წყალგანზავებული ღვინოების დადგენის მეთოდის შემუშავება. ასევე ყურადღების ღირსია ერთი საკითხი: კერძოდ, კონიაკისა და ღვინის წარმოებაში არ არსებობს ფერთა კონსტანტები ეტალონების სახით, მიღებული მაღალხარისხოვანი პროდუქცია ხშირად სხვადასხვა ფერისაა. ფერთა ასეთი მერყეობა პროდუქციის შინაარსსაც განსაზღვრავს. ეს უნდა გამოსწორდეს. არსებული კოლორიმეტრიული ხელსაწყოები მეტად სუბიექტურ დასკვნებზეა დამყარებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ფოტოელექტრო კოლორიმეტრს. ამიტომ საჭიროა შედარებით მარტივი, ობიექტურ მაჩვენებლებზე აგებული ხელსაწყოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს ფერთა ეტალონების მათემატიკური მაჩვენებლებით გამოსახვას.

თანამედროვე ფიზიკის, ქიმიისა და სხვა საბუნებისმეტყველო დარგების მიღწევები ფართოდ არის ცნობილი. მაგრამ ყოველთვის და ყველგან როდი შეიძლება ერთი საზომით მიგიყენონ ეს მიღწევები ამა თუ იმ პირობებს. კერძოდ, ხშირია ექსპერიმენტების ჩატარება ატომგულური ენერგიის გამოყენებით, სახელდობრ, რადიაციული სხივების საშუალებით, მაგრამ მათი დანერგვა წარმოებაში და მით უმეტეს კვების პროდუქტთა დასხივების სახით, უდავოდ ნაჩქარევი იქნება.

მკვლევარები თ. ციცხლაძე, გ. ბერიძე, ა. ლაში და სხვები ღვინისა და კონიაკის ხანმოკლე პერიოდში დაძველებისა და ორგანოლეპტიკური ნიშნების გასაუმჯობესებლად იყენებდნენ გამა რადიაციას (დასხივებას). ამ მხრივ მიღებული შედეგები უდავოდ საინტერესოა. მაგრამ ჩვენ არ უნდა ავიჩქარდეთ, რადგან ჯერ კიდევ ბევრი რამ მოუხსნელი რჩება. მით უმეტეს, რომ ქართული ღვინო ხელოვნურ „გაკეთილშობილებას“ არ მოითხოვს.

პირიქით, ტექნიკის მიღწევები დიდი მასშტაბებით უნდა შეიჭრას სასათაესო და სამეურნეო დარგებში. მაგალითად ტექნიკა, თერმოიზოლატური დანადგარები, ავტომატური თერმული რეგულაცია და სხვ. ხელს შეუწყობს თანამედროვე დონეზე წარმოების კულტურის დაყენებას. ამ შემთხვევაში კი ქვევრის მნიშვნელობა უდავოდ დაიკარგება.

უნდა დავეთანხმოთ ამხ. ა. დავითაშვილის აზრს რკინაბეტონის როფების ნაცვლად მომინანქრებულ შესანახ ნაგებობათა გამოყენების საკითხში. ამ შემთხვევაში ტემპერატურული რეჟიმი მთლიანად უზრუნველყოფილია.

დავიცვათ ქართული ღვინის სახელი და დიდება

პროფესორ გ. ბერიძის წერილში სასარგებლო და მისაღებია წინადადება, რომ ქართული სამარკო ღვინოების (წინანდალი, მუკუზანი, გურჯაანი, თელავი, ტიბაანი და სხვ.) ჩამოსხმა წარმოებდეს იქ, სადაც საათანაო დაძველებას და ტექნოლოგიურ დამუშავებას გაიკეთებენ. ამისათვის აუცილებელია მინის ჭურჭლით უზრუნველყოთ ღვინის ჩამოსასხმელი საამქროები. მაგრამ მეღვინეობის რაიონებში არსად არ არის შუშის ქარხანა. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასეთი ქარხანა მოეწყოს ახლოში, თუნდაც გურჯაანის რაიონში.

სასურველი იქნებოდა, რომ ახლადაშენებულ შუშის ქარხანას გამოეშვა სტანდარტული ტევადობის (ბორდოს ტიპის) ბოთლი რადგან ხმარებულ ფორმის ერთ ლიტრიან ბოთლს ბევრი უარყოფითი ნიშნები გააჩნია. აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ სტანდარტულ ბოთლში ღვინის ჩამოსხმა იწარმოებს არა რაოდენობის მიხედვით, არამედ დონის მიხედვით, ეს უკანასკნელი კი დიდად მნიშვნელოვანი ფაქტორია ღვინის ხარისხისათვის ბრძოლაში, მით უმეტეს ჩამოსხმილ ღვინოთა შენახვის ხანგრძლივობაში.

როგორც ცნობილია, ხარისხისათვის ბრძოლა უნდა იწყებოდეს ვენახში. შემდეგ პირველადი მეღვინეობის საწარმოებში და საბოლოოდ — პროდუქციის გამოშვების ადგილზე. მეღვინეთ სპეციალისტებმა ბევრად გაოსწრეს მეღვინე კოლეგებს. ისინი სელექციისა და თანამედროვე აგრობიოლოგიის საფუძველზე კარგად დაეუფლნენ თავიანთ საქმეს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვაზის დატირვის ხარჯზე ყურძნის ეკრეთწოდებული სარეკორდო მოსავლის მიღება ზიანს აყენებს ღვინის ხარისხს, ეს ყველა მეღვინეთან უნდა გაითვალისწინოს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეღვინეობის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე დიდი ხანია არ გამოცემულა, ხოლო რომელიც არსებობს, მოითხოვს მთელ რიგ დამატებებსა და შესწორებებს. ამასთან ერთად ღვინის ქიმია დიდად ჩამორჩება დღევანდელ მოთხოვნილებებს. საჭიროა ახლო მომავალში ჩვენი რესპუბლიკის სპეციალისტებმა შეიმუშაონ ორიგინალური მეთოდები და ღონისძიებები.

მეღვინე სპეციალისტებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ მაღალხარისხოვანი მზა პროდუქცია — ეს არის მაღალხარისხოვანი ნედლეული, ობიექტურ პრინციპზე დაყრდნობილი ტექნოლოგია და მიღებული პროდუქციის სათანადოდ შენახვა. ამ ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს მეღვინეობის შემდგომ განვითარებას და მაღალი ხარისხის ქართული ღვინოების მიღებას.

კ. პატარაია,
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ცენტრალური რესპუბლიკური ლაბორატორიის ბიოქიმიისა და ბიოფიზიკის სექციის ჯგუფის ხელმძღვანელი.

საქართველოს „ჭიქი“

ლეგენდარული გმირის ლუკიანე თაბუკაშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო

ახე ეძახდნენ ლუკიანე თაბუკაშვილს მოძმე უკრაინაში, სადაც მან შარავანდედით შემოსა ქართველი ადამიანის სახელი და დიდება, ქართველი რევოლუციონერის ღირსება.

სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ლუკიანე თაბუკაშვილი დაიბადა 1889 წლის 18 აპრილს ხარაგოულის რაიონის სოფელ ფარცხნალში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო ხარაგოულის ორკლასიან სასწავლებელში, სადაც მას ასწავლიდა ცნობილი რევოლუციონერი-ბოლშევიკი სამეულ ბუაჩიძე.

სოლარიგმ და სწავლისადმი შეუნელებელმა მისწრაფებამ იგი ადრევე ბაქოსაკენ გაამგზავრა, სადაც მისი ორი ძმა შპალების დამამზადებელ ქარხანაში მსახურობდა. ბაქოს პროლეტარიატის წიაღში ყოფნამ წარუშლელი კვალი დატოვა თაბუკაშვილზე. განსაზღვრა მისი შემდგომი ცხოვრებისა და ბრძოლის გზა.

1910 წელს ლუკიანე გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, რომელიც მან მოიხადა რკინიგზის ბატალიონში ქალაქ კიევში. სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობს უკრაინის რკინიგზის სხვადასხვა სადგურში, ბოლოს ძლიერ მნიშვნელოვან კვანძზე — კოროსტენში კიევიდან 150 კილომეტრზე ჩრდილოეთ დასავლეთით. კოროსტენში იყო დიდი დეპო და ამ დეპოს მრავალრიცხოვანმა, მრავალეროვანმა პროლეტარიატმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უკრაინის რკინიგზის პროლეტარიატის ისტორიაში. ამ სახელოვან რაზმს — კოროსტენის პროლეტარიატს მტკიცედ დაუკავშირა თავისი ბედ-იღბალი ჩინებულმა ქართველმა და ამ პროლეტარიატის გმირული ბრძოლის ისტორიაში შეიტანა თავისი მნიშვნელოვანი წელილი. ლუკიანე თაბუკაშვილი კომუნისტური პარტიის წევრი გახდა თებერვლის რევოლუციის დღეებიდან, 1917 წლის მარტ-აპრილში.

1917 წლის იულისის დემონსტრაციას და კორნილოვის კონტრრევოლუციურ ამბოხებას კოროსტენის პროლეტარიატი იმით გამოეხმაურა, რომ ფრონტიდან დაძრული ჯარის კოროსტენის კვანძზე შეჩერა, პეტროგრადისაკენ არ გაუშვა, თვითონ კი იარაღი აიხსნა და შექმნა 150 კაცისაგან შემდგარი წითელი გვარდია. ყველა ამ საქმის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და სულისჩამდგმელი იყო კომუნისტი ლუკიანე თაბუკაშვილი.

1918 წლის ივლის-აგვისტოში უკრაინაში გაჩაღდა რკინიგზის მუშათა გრანდიოზული საყოველთაო გაფიცვა გერმანელი იმპერიალისტებისა და მათი აგენტის — გეტმან სკოროპადსკის წინააღმდეგ. რომელშიც მონაწილეობა მიიღო 200 ათასმა მუშა-მოსამსახურემ. ამ მოძრაობის ინიციატორთა შორის იმყოფებოდა კოროსტენის პროლეტარიატი. სახელოვანმა ქართველმა რევოლუციონერმა აქტიური ხელმძღვანელი მონაწილეობა მიიღო ამ შესანიშნავ ბრძოლაში, რომელმაც დიდი ეკონომიური და პოლიტიკური ლახვარი ჩასცა გერმანელ დამპყრობლებს უკრაინაში, გაცოფებულმა გერმანელმა ოკუპანტებმა გადაცვლის ხელმძღვანელები, მათ შორის ლუკიანე თაბუკაშვილი დაუპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს.

გაძვალტყაეებული, ფიზიკურად დაუძლურებული, მაგრამ სულიერად კვლავ უდრეკი, კიდევ უფრო გაკაჟებული დაბრუნდა ლუკიანე გერმანული ჯოჯოხეთიდან, საიდანაც განთავისუფლებულ იქნა 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის მიერ. მაესეე ის გაჩნდა კიევში, უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. კომუნისტურმა პარტიამ გადაწყვიტა და სათანადო წინადადებით მიმართა უკრაინის შრომელებს და ორგანიზაციებს განეიარაღებინათ უკრაინაში მყოფი გერმანიის ყველა საოკუპაციო ჯარები. რომლებიც უკან მიდიოდნენ. ამ დირექტივის აღსასრულებლად თაბუკაშვილს მიეცა ფრიად პასუხსაგები დავალება — კოროსტენის მუშების დახმარებით განეიარაღებინა ყველა გერმანული ეშელონი, რომელიც კოროსტენს გაივლიდა.

გერმანელებისა და გეტმან სკოროპადსკის განდევნის შემდეგ უკრაინელ ხალხს ახალი მტერი გაუჩნდა — პეტლიურას კონტრრევოლუციური დირექტორია. უკრაინის მუშებისა და გლეხების ამ დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში კვლავ ისახელა თავი კოროსტენის პროლეტარიატმა და მისმა ნაცადმა ხელმძღვანელმა ლუკიანე თაბუკაშვილმა. ბრძოლების გამოცდილებამ ცხადყო, თუ რა ძლვარ იარაღს წარმოადგენდა ისეთ სამანერო, მოძრავ ომში, როგორიც სამოქალაქო ომი იყო, ჯავშნიანი მატარებელი. დაიბადა აზრი ასეთი მატარებელი შექმნილიყო კოროსტენშიც. კოროსტენის მუშების თავდადებული შრომით იგი მალე ჩამოყალიბდა. ტექნიკურად მას ბევრი რამ აკლდა, იარაღით კი — ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით საკმაოდ იყო აღჭურვილი. ამ მატარებლის მთავარ ძალას, მის შეუდარებელ უპირატესობას მტრის ჯავშნოსნებთან შედარებით წარმოადგენდნენ მისი ძვირფასი, დაუფასებელი კადრები. ყველა ისინი იყვნენ მოხალისეები, კოროსტენის პროლეტარიატი, ბრძოლებში გამობრძმედილი მეომრები, რევოლუციის საიმედო ძალა. ამ დამრტყმელ ბირთვს სათავეში ჩაუდგა კოროსტენის მუშების საყვარელი ხელმძღვანელი ლუკიანე თაბუკაშვილი: მუშების მოთხოვნით იგი დაინიშნა ახალი ჯავშნოსანი მატარებლის უფროსად. მატარებელს სახელად ეწოდა „კოროსტენის რაიონის კომუნისტი“.

ამ ჯავშნოსანმა და მისმა ღირსეულმა მეთაურმა ლუკიანე თაბუკაშვილმა მთელ უკრაინაში გაითქვა სახელი. მათი საგმირო, ლეგენდარული საქმეები მთელ უკრაინას მოედო. მტერი მათს სახელს შიშითა და ძრწოლით იმეორებდა, ხოლო მუშები და გლეხები უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებდნენ. ან აქ, უკრაინის მუშებსა და გლეხებში მოიპოვა ლუკიანემ სამაყო სახელი „საქართველოს ჯიქი“. ჯავშნოსანი უმოწყალოდ ანადგურებდა პეტლიურას კონტრრევოლუციურ ბანდებს, აქრობდა ყულაკურ აჯანყებებს და ძლეტდა მათ მონაწილეთ, გაბედულად შეიჭრებოდა ხოლმე მტრის ზურგში, შექმნიდა იქ პანიკას და დასცემდა შიშის ზარს, უთანასწორო ბრძოლაში იმარჯვებდა მტრის მრავალ ჯავშნოსანთან. ჯავშნოსანი არაერთგზის ჩავარდნილა გასაჭირში, მაგრამ მატარებლის შემადგენლობის სიმტკიცეს, რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთგულებას, მისი მეთაურის საზღაპრო მხნეობასა და ვაჟკაცობას, საბრძოლო ოსტატობასა და უნარიანობას თავისი გაუტანია და გამარჯვებაც მოუპოვებია.

ერთი ასეთი სახელოვანი ეპიზოდი, რომელისათვისაც თაბუკაშვილს მიეცა რუსეთის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო — წითელი დროშის ორდენი, აღწერილია რუსეთის სოციალისტური ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციური საბჭოს 1919 წლის 25 სექტემბრის ბრძანებაში, რომ შეეჭრებინა პეტლიურელთა შემოტევა პროსკეროვის მიმართულებით 1919 წლის ივნისში, იგი — მაშინ ჯავშნოსანთა კოლონის უფროსი — უშიშრად შეიჭრა ჯავშნოსან „კოროსტენის კომუნისტი“ მტრის ბანაკში, მუსრი გაავლო მის ჯარებს. მაგრამ მალე „კოროსტენის კომუნისტი“ გარშემორტყმული აღმოჩნდა ყოველი მხრიდან მრავალრიცხოვანი მტრის მიერ. მისი ორთქლმავალი დაზიანებული იყო საარტილერიო ჭურვით, მას გზა აუყარეს წინ და უკან. განწირული ჯავშნოსანი მისი გმირი რაზმით და ლეგენდარული მეთაურით, უშიყლოდ, უსურვასოოდ, თავგანწირვით იბრძოდა ხუთი დღე-ღამის განმავლობაში. ჯავშნოსანთანა ისტორიაში ეს გაუგონარი ჰეროიული პროლეტარული სიმტკიცის, სამშობლოსადმი ერთგულების, თაბუკაშვილის საომარი ოსტატობისა და მხნეობის წყალობით სრული გამარჯვებით დამთავრდა.

1919 წლის აპრილში ლუკიანე თაბუკაშვილი დაწინაურებულ იქნა უკრაინის პირველი საბჭოთა არმიის ჯავშნოსანთა კოლონის—უკრაინის ყველა ჯავშნოსანი მატარებლის უფროსად, ხოლო როდესაც უკრაინაში შეიქმნა მეთორმეტე არმია, ამ არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს რწმუნებულად. ამავე არმიის რწმუნებულად მაშინ მუშაობდა ცნობილი უკრაინელი მოღვაწე აწ განსვენებული დ. ზ. მანუილსკი.

ლუკიანე თაბუკაშვილის საგმირო, საზღაპრო საქმეების ამბავმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინამდე მიაღწია ლენინის თანამებრძოლს, უკრაინის სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარის ამხ. პოდვოისკის მეშვეობით. და დიდმა ბელადმა მოინდომა პირადად გასცნობოდა სახელოვან ქართველ მებრძოლს. როდესაც თაბუკაშვილი ჩავიდა მოსკოვში 1919 წლის სექტემბერში წითელი დროშის ორდენის მისაღებად, იგი მიიწვიეს კრემლში ლენინის ბინაზე. ვლადიმერ ილიას-ძემ თბილად მიიღო თაბუკაშვილი, გულდასმით მოისმინა მისი ბრძოლების ამბავი. თაბუკაშვილი მას შემდეგაც რამდენჯერმე ყოფილა ვლადიმერ ილიას-ძესთან ბინაზე. ერთხელ კამოსთან ერთად. თაბუკაშვილი შეხვედრია იოსებ ბესარიონის-ძე სტალინსაც მისი უკრაინაში ყოფნის დროს 1919 და 1920 წლებში.

პოლონელ პანებთან ომის დამთავრების შემდეგ თაბუკაშვილმა სთხოვა ამხანაგ ლენინს გამოეშვათ საქართველოში დასასვენებლად და ნათესავების სანახავად. ლენინმა ნება დართო და თან გამოატანა წერილი საქართველოში რუსეთის ელჩის ამხანაგ სერგეი კიროვის სახელზე. თაბუკაშვილი შეხვდა სერგო ორჯონიკიძესა და კიროვს ბაქოში 1920 წელს სექტემბერში, რის შემდეგ ჩამოვიდა საქართველოში. მენშევიკურ მთავრობასთან სათანადო შეთანხმების შემდეგ მას მიეცა საქართველოში თავისუფალი და უშიშარი ყოფნის გარანტია.

1921 წლის 20 თებერვალს მენშევიკებმა თაბუკაშვილი დაატყვევეს სოფელ ფარცხნალში და ჩაამწყვდიეს ზესტაფონის ციხეში. ხოლო 1921 წლის 6 მარტს, როდესაც თბილისში უკვე დიდი ხანია ფრიალებდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ალამი. მოტყუებით გამოიყვანეს ციხიდან და მუხანათურად, ქურდულად დახვრიტეს.

ყველა პატიოსანი ადამიანის უდიდესი ზიზღი და აღშფოთება გამოიწვია მენშევიკ ჯალათთა ამ ვერაგულმა ბოროტმოქმედებამ. ამხანაგებმა ფილიპე მახარაძემ და სერგო ორჯონიკიძემ 1921 წლის 5 აპრილს ეს სამნილი დანაშაული რადიოთი ამცნეს კრემლში. ლენინსა და სტალინს. აგრეთვე კომუნისტურ ინტერნაციონალს, უკრაინის საბჭოთა მთავრობას.

1921 წლის 17 აპრილს ქართველმა ხალხმა, კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ და წითელმა არმიამ დიდი პატივისცემით დაკრძალეს თავდადებული მებრძოლი ლუკიანე თაბუკაშვილი. მრავალი ათასი თბილისელი იღებდა მონაწილეობას სამგლოვიარო პროცესიაში.

ლუკიანე თაბუკაშვილი დასაფლავებულია 26 კომეშურნის ბაღში, მის ქვემო ნაწილში, ათი ნაბიჯის დაშორებით იმ ადგილიდან სადაც დღეს აგებულია ბ. ძნელაძის ძეგლი.

ღირსეული ქართველი, სახალხო გმირი, წითელი არმიის ნიჭიერი მეთაური, სპეტაკი კომუნისტი ლუკიანე თაბუკაშვილი ცოცხალი განსახიერება და გამომხატველი იყო ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხების მშვენიერი და ურყევი მეგობრობისა. მადლიერი ქართველი ხალხის გულში მუდამ დარჩება მისი ერთგული შვილის ნათელი სახე.

ვ. იმედაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

აგრონომიული და ზოოტექნიკური ოთახი

გორი. (საკ. კორ.). ამ დღეებში გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციასთან შეიქმნა აგრონომიული და ზოოტექნიკური ოთახი.

მხატვრულად გაფორმებული დიაგრამები მოგვითხრობენ რაიონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა-განვითარებაზე. იქვე სპეციალურ დაფაზეა ცნობები კოლმეურნეობათა შორის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე. ცალკე მოწყობილია კუთხე: „მოწინავე გამოცდილება მასებს!“ მაგიდაზე დევს საპატიო წიგნი. იქ შეტანილი არიან სოფლის მეურნეობის ყველაზე მოწინავე ადამიანები. ოთახში დაწესებულია კონსულტანტთა მორიგეობა.

აგროზოოტექნიკური ოთახი კარგად დაეხმარება კოლმეურნეობებს მოწინავე გამოცდილების დანერგვა-გავრცელებაში.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„გულდამშვიდებული ხელმძღვანელობა“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 5 აპრილის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მზლეტელი იყო გუდაუთის რაიონში საგზაფხულო სამუშაოთა ჩამორჩენა.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი რედაქციას აცნობებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა და ეს საკითხი განხილა საოლქო კომიტეტის ბიურომ, რომელმაც აღნიშნა:

გუდაუთის რაიონის მეტ წილ კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად იყენებენ ცოცხალ გამწევ ძალას საგზაფხულო ხვნაში. მაგალითად, სოფელ აგარაკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ჰყავთ 38 მუშა პირუტყვი და მოხნეს მხოლოდ 18 ჰექტარი. მსგავსი მდგომარეობაა ბლაბურჩვას, ატბარას და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. რაიონში ჩამორჩენილია თომმბაქოს, ბოსტნეულის თესვის ხაქმეში. ხეხილის ბაღების გაშენების გეგმა შესრულებულია 30 პროცენტით, ვენახის გაშენებისა — 11,4 პროცენტით, ჩაის პლანტაციის გაშენება არც კი დაუწყიათ, ჩამორჩენილია სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ წინადადება მისცა პარტიის გუდაუთის რაიკომის მდივანს ამხ. ფვიძბას და რაისახჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. კობახიას სასწრაფოდ დაიყვანონ კოლმეურნეობებამდე საგზაფხულო სამუშაოთა კალენდარული გეგმები.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ დაავალა პარტიის გუდაუთის რაიკომის მდივანს და რაისახჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მიიღონ ქმედითი ზომები და უზრუნველყონ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს დროულად ვადებში მაღალხარისხოვნად შესრულება.

თბილად მოკალათებული თაღლითები

უკანასკნელ დროს ბევრი საჩივარი მოდის რუსთავის ვაჭრობის მუშაკთა მისამართით. მომხმარებელი აღშფოთებულია იმით, რომ ზოგიერთი სახელგატეხილი და უღირსი დახლის მუშაკი ბოროტად იყენებს ნდობას, ეწევა ზომა-წონაში მოტყუებას, გამოძალვას, უხეშად არღვევს საბჭოთა ვაჭრობის წესებს. რეიდმა, რომელიც ამ დღეებში მოეწყო

ზღვისპირეთის მარგალიტი

ჩვენი ქალაქების ფვიდფლედი

კავკასიაში მოგზაურთათვის განკუთვნილ ცნობარში, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე გამოიცა მოსკოვში, მთელ აფხაზეთს და სოხუმს სულ ორიოდე გვერდი აქვს დათმობილი. რაზეა ლაპარაკი ამ ორიოდე გვერდზე? ჭაობებსა და ატალახებულ ჭუჭებზე, ქოხმახებსა და მათში დაბუდებულ სიღატაკეზე. ეს ცნობარი წლების მანძილზე არ კარგავდა მნიშვნელობას, რადგან არაფერი არ იცვლებოდა — ჭაობი ჭაობად რჩებოდა, ქოხმახი—ქოხმახად, სიღატაკეს ხომ დასასრული არ უჩანდა.

და დღეს მარტო სოხუმის მჩქეფარე ცხოვრების აწერას ორიოდე გვერდი კი არა, ორი ტომიც ვერ დატევს. შარშან გამოცემული ცნობარიც წელს სანახევროდაც აღარ არის სრული, რადგან ყოველი ახალი წელი ფაბრიკა-ქარხნების ახალი კორპუსებია, ახალი სანატორიუმებია, საცხოვრებელი და დასასვენებელი სახლები, სკოლები და კლუბებია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, განსაკუთრებით ომისშემდგომ პერიოდში დიდად გაიზარდა და დამშვენდა შავი ზღვისპირის თვალმარგალიტი, მზიური აფხაზეთის დედაქალაქი, ქალაქი — ბაღი, ქალაქი — კურორტი სოხუმი. ქალაქში აგებულია ათობით ახალი სამრეწველო საწარმო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობა, მრავალი საცხოვრებელი სახლი. კეთილმოწყობილი და რეკონსტრუირებულია ქალაქის მეტი წილი ქუჩები, ტროტუარები, მოედნები, ეზოები. გაშენდა ახალი პარკები და სკვერები. სოხუმის ერთ-ერთი დიდი მოედანი ამას წინათ დაამშვენა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის ძეგლმა. სოხუმმა ისე იცვალა სახე, რომ ვეღარ იცნობთ. გაიზარდა ქალაქის მოსახლეობაც.

ქალაქის საერთო ზრდასთან და განვითარებასთან ერთად მკვეთრად გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. განუზომლად ამაღლდა მოსახლეობის კულტურული დონე.

კიდევ უფრო ლამაზი, თვალწარმტაცი გახდება სოხუმი შვიდწლედში. შვიდწლიანი გეგმის დიდებული პროგრამით გათვალისწინებულია საქალაქო მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობა.

კაპიტალური დაბანდებანი მარტო კომუნალური მეურნეობის ხაზით შვიდწლედში მიაღწევს 82 მილიონ მანეთს, მათ შორის საბინაო მშენებლობაზე — 31,5 მილიონ მანეთს, ამასთან საექსპლოატაციოდ გადაეცემა 18,7 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამ პერიოდში მარტო კომუნალური მეურნეობის ხაზით აშენდება 14 დიდი საცხოვრებელი სახლი. თვითეულ მათგანში 33-36 ბინა იქნება.

გარდა ამისა, გათვალისწინებულია დიდი კაპიტალდაბანდებანი საბინაო მშენებლობაზე უწყებათა და სამინისტროთა, აგრეთვე ქალაქის კოოპერაციული ორგანიზაციების ხაზით, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 80 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ამ კაპიტალდაბანდებათა გათვალისწინებით, დაფინანსების ყველა წყაროს ხაზით საექსპლოატაციოდ გადაეცემა 8-10 დიდი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

შემდგომ განვითარდება კოლექტიური და ინდივიდუალური მშენებლობა, რაც მშრომელთა დანაზოგებით და სახელმწიფო კრედიტის გამოყენებით ხორციელდება. შვიდწლედის განმავლობაში ამ ხაზით საექსპლოატაციოდ გადაეცემა 120 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ინდივიდუალური და კოლექტიური მენაშენეებისათვის დამმარების გასაწევად სახელმწიფო გამოიყოფს 10 მილიონ მანეთ კრედიტს.

ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — 1950-1965 წლების განმავლობაში გადავჭრათ სოხუმში საბინაო საკითხი და მთლიანად დავაკმაყოფილოთ ქალაქის მშრომელთა მოთხოვნილება საცხოვრებელ ბინებზე. შვიდწლედის განმავლობაში კომუნალურ მეურნეობაზე გათვალისწინებულია 14,6 მილიონი მანეთი კაპიტალდაბანდებანი.

კომუნალურ მეურნეობაზე კაპიტალდაბანდებათა გამოყენებით პირველ რიგის სამუშაოებად ითვლება წყალსადენის მეორე რიგის მშენებლობის დამთავრება და ქალაქის საკანალიზაციო ქსელის გაფართოება. პირველი რიგის სამუშაოთა შორის გათვალისწინებულია აგრეთვე სოხუმის საქალაქო ელექტროქსელის რეკონსტრუქცია და ზრდა. 1959-1960 წლების განმავლობაში დამთავრდება ახალი ანანო — სამრეცხაოს მშენებლობა.

უახლოეს ორ-სამ წელიწადში დასრულდება ქალაქის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში კეთილმოწყობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები. ამ რაიონების მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება საჭირო კომუნალური მომსახურებით (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროფიკაცია და სხვ.).

ამავე პერიოდის განმავლობაში დამთავრდება სანაპიროს კეთილმოწყობა. მომდინარე შვიდწლედში რეკონსტრუირებული იქნება და მოასფალტდება ქალაქის ყველა ძირითადი ქუჩა და მოედანი, რისთვისაც გათვალისწინებულია 11.200 ათასი მანეთი სახსრები.

რეკონსტრუირებული იქნება და გაფართოვდება მოქმედი კომუნალური საწარმოები, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ ქალაქის მშრომელების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

შემდგომ განვითარდება და გაფართოვდება პარკების მშენებლობა. გაშენდება სკვერები ქალაქის მახლობელ ტერიტორიებზე, დაირგვება ახალი დეკორაციული და საყვავილე ნარგავები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში.

წელს განახლდება საკონსერვო ქარხნის რაიონში მდინარე ბესლეთზე ახალი ლითონხსმალებიანი ხიდის მშენებლობა, რაც წლის ბოლომდე დამთავრდება.

1960 წლის დამდეგს მწყობრში ჩადგება სოხუმის ავტომატური ტელეფონის სადგური 3.000 ნომრით, და სავსებით დაკმაყოფილდება მშრომელთა მოთხოვნილება სატელეფონო კავშირგაბმულობაზე.

შვიდწლედში დიდად განვითარდება საბრეწველო მშენებლობა. ამ პერიოდის განმავლობაში მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგება ახალი საკონსერვო ქარხანა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 10 მილიონ პირობით ქილა კონსერვს.

გათვალისწინებულია ულია აშენდეს საკედელ ბლოკების ქარხანა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 30 მილიონ ცალ პირობით აგურს, თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა, ღვინის ქარხანა და სხვა სამრეწველო საწარმოები.

ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის შვიდწლედში გათვალისწინებულია 25,8 მილიონი მანეთი კაპიტალდაბანდებანი.

დამთავრდება თევზის კომბინატის მშენებლობა და გაფართოება. მას ექნება მძლავრი მაცივრები და თევზის დასამუშავებელი საამქროები. დასრულდება სოხუმის ავეჯის ფაბრიკის, აგურ-კრამიტის ქარხნისა და სხვა საწარმოების რეკონსტრუქცია.

1959-1965 წლების განმავლობაში სოხუმში მწყობრში ჩადგება სამკონალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ახალი შენობები და ნაგებობანი. ამ მიზნით ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხაზით ასიგნებული იქნება 19,6 მილიონი მანეთი. განათლების სამინისტროს ხაზით შვიდწლედში გათვალისწინებულია 12,7 მილიონი მანეთი კაპიტალდაბანდებანი. დამთავრდება სკოლა-ინტერნატის მშენებლობა, აშენდება ახალი ზოგადსაგანმანათლებელო სკოლები, საბავშვო ბაღები, კინოთეატრები, ბიბლიოთეკები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ასეთია იმ ღონისძიებათა არასრული ნუსხა, რომლების განხორციელებაც დასახულია საქალაქო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გეგმით 1959-1965 წლებისათვის.

ალსანიშნავია ძმური დახმარება, რომელიც ჩვენს ქალაქს გაუწია მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ. 1958 წლის ნოემბერში მოსკოვის საბჭომ ჩვენი ქალაქის საპიროებათა დასაკმაყოფილებლად მიზნობრივი დანიშნულებით გამოყო მთელი რიგი მექანიზმები, მანქანები და საშენი მასალები სოხუმის კეთილმოწყობისათვის და სანიმუშო სანიტარული მდგომარეობის დასაცავად.

სოხუმის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ღირსეულად შეასრულონ ქალაქის განვითარების შვიდწლიანი გეგმა და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის დიდ საქმეში.

ე. ამიჩბა,

სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

• • •



სურათზე: სოხუმი. ლენინის ქუჩა. ფოტო ვ. სტოლიაროვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

გულთბილი წერილები

წერილი რედაქციას

ილიასა და აკაკის ძეგლის წარწერისათვის

მადლიერმა ქართველმა ერმა თავის სასიქადულო შვილებს — დიდ მწერლებსა და ხაზგადო მოღვაწეებს ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს დედაქალაქის შუაგულში აღუმართა სამარადჟამო ძეგლი. ისინი გვერდის გვერდ დგანან და ძლევამოსილად მოაბიჯებენ განახლებულ მშობლიურ მიწაზე, ერთი აზრით შეპყრობილნი, ერთი საქმისთვის თავდადებულნი, ერთი გულისთქმით ამღერებულნი.

ვფიქრობ, ილია-აკაკის ერთიან ძეგლს შეეფერება ისეთი წარწერა, სადაც ასახული იქნება საზოგადოებრივ ასპარეზზე ამ ორი ბუმბერაზი ადამიანის ერთი სულისკვეთების და ერთ უღელში შებმის გამომხატველი სიტყვები.

ფორიკ ცნობილია, აკაკი წერეთელმა გულმხურვალედ დაიტირა ერის საუმჯობესობელი ილია ჭავჭავაძე, ვერაგზელად განგმირული მტრის ულმობელი ხელით.

აკაკი წერეთლის ამ ცნობილ გამოსათხოვარ სიტყვაში არის ერთი ადგილი, სადაც მკვირმეტყველურად, გასაოცარი ლაკონიზმითა და სიმარტლით არის გადმოცემული ილიასა და აკაკის თანამოღვაწეობისა და თანამებრძოლობის მთელი ისტორია. ეს ფრაზა ბრჭყალებში იქნება ჩასმული; არც ის იქნება აღნიშნული, რომ ეს აკაკის სიტყვებია.

აი ეს სიტყვებიც, რომლებიც სასურველია დაეწეროს ილია-აკაკის ძეგლს:

„გარემოებამ გადაგვაგა ჩვენ ერთმანეთზე; ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით“.

წარწერა ძეგლს დაამშვენებს და ქვაში გამოქანდაკებულ სიმბოლოს სიტყვობრივ დადასტურებას მისცემს.

ზოთა ძიძიგური.

მეორე საკავშირო კინოფესტივალზე

უკრაინის დედაქალაქ კიევში გაზაფხულის მზიანი დღეებია. საბეიმოდ მორთულ ქალაქში ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ძეგმბრებს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხიდან. ესენი არიან საბჭოთა მაყურებლისათვის კარგად ცნობილი კინოსტატები, რომლებმაც გასული წლის ნაყოფიერი მუშაობით ახალი წარმატებები მოუკოვეს საბჭოთა ხელოვნებას.

მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციებს შორის არიან საქართველოს წარგზავნილებიც: კინორეჟისორი დ. რონდელი (დელეგაციის ხელმძღვანელი), მსახიობები ა. ქანდაურიშვილი და გ. ჭოხონელიძე, რომლებიც გადაღებულ ლი არიან ფესტივალზე წარდგენილ ქართულ ფილმებში „სხვისი შვილები“ და „ფატმა“.

გასინჯულ იქნა კინოსტუდია „ლენფილმის“ დადგმა „ეგვანი ონეგინი“, „სომხეთის ფილმის“ — „სიმღერა პირველი სიყვარულისა“, მოსკოვის დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის სურათი — „ჩვენ ასე ვცხოვრობთ“ და უკრაინის ქრონიკალურ - დოკუმენტური ფილმების სტუდიის ნაწარმოები „კინოპარატეთ კრაკოვში“. აგრეთვე 1958 წელს გადმოშვებული 43 მხატვრული და 64 ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო - პოპულარული ფილმი, მათ შორის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები „სხვისი შვილები“ და „ფატმა“, აგრეთვე საქართველოს ქრონიკალურ - დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის ნაწარმოებები „თბილისის 1500 წელი“, „მწვერვალთა სამყაროში“, „მზიური აჭარა“ და ოთხი ქართული კინოჟურნალი. ფილმების განსინჯვა ხდება ოქტომბრის კულტურის სახლში და მეცნიერთა სახლში. ერთდროულად საფესტივალო ფილმების დემონსტრაცია წარმოებს კიევის ყველა კინოთეატრში, მრავალ კლუბსა და კულტურის სახლში.

შ. ჩაგუნავა,
კინორეჟისორი.

ქ. კიევი.

„დიდი სიამოვნებით წავიკითხე თქვენი შესანიშნავი ეპოპეის „დავით აღმაშენებლის“ პირველი ორი წიგნი.

ჩემი აზრით, თქვენი წიგნი ესოდენ ძლიერ შთაბეჭდილებას იმიტომ ახდენს მკითხველზე, რომ მასში ჩქეფს სამშობლოს უზომო სიყვარული, რომელიც იბყრობს სხვა ეროვნების ადამიანსაც და საქართველოსადმი პატივისცემით ავსებს.

აქამდე საქართველოზე ცოტას კითხულობდი, მაგრამ ჩემში ყოველთვის ცოცხლობდა პუშკინის, ლერმონტოვისა და გრიბოედოვის საყვარელი ქვეყანა.

თქვენი რომანის წაკითხვის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარდა საქართველო.

მე უკვე ხნიერი ვარ, მრავალჭირგადახდილი და დასნეულებული. ყოველთვის მიყვარდა მუსიკა, მაგრამ ბოლო დროს ვეღარ ვახერხებდი მუშაობას. ერთხელ ბიბლიოთეკაში წავედი. იქ შემოხვედით მივაკენი თქვენს რომანს. წამოვიღე და დავიწყე კითხვა. თითქოს კვლავ დამბრუნდა ძალა, სიცოცხლის საოცარი სიყვარული ვიგრძენი და მომინდა ხორცი შეესხა ჩემი მცირე ოცნებისათვის. მუშაობას მთხოვდა გულიც, და ავხადე დიდიხნის დამტვერილი ფორტეპიანო.

ულრმესი მადლობელი ვარ თქვენი წიგნის დიდი სიმართლისა და სილამაზისათვის“... ლ. ლოხტინა (ნოვგოროდი).

• • •

„ვიყიდე თქვენი „დიდოსტატის მარჯვენა“ და სულმოუთქმელად წავიკითხე. ძალიან მინდა სამახსოვროდ წამიწეროთ. გიგზავნით წიგნის თავფურცელს. როგორც კი თქვენგან მივიღებ წარწერილს, კვლავ წიგნში ჩავაწებებ“... დ. პეტროვი (როსტოვი).

• • •

„ძალიან გთხოვთ შემატყობინოთ, გამოვიდა თუ არა „დავით აღმაშენებლის“ მეოთხე წიგნი და სად შეიძლება მისი შოვნა. თქვენი გმირები კეთილი, პატიოსანი, ჭკვიანი ადამიანები არიან და მკითხველსაც აკეთილშობილებენ“... ვ. ნაძლადოვა (სერპუხოვი).

• • •

„ძალიან მიყვარს კავკასია, მიყვარს საქართველო, რომელსაც მდიდარი და მეტად ლამაზი ისტორია აქვს. მაგრამ კარგი წიგნები საქართველოზე ჯერჯერობით მაინც ცოტაა. ცოტაა ფილმებიც. მიკვირს, რატომ დღემდე არ მოხერხდა თქვენი მშვენიერი წიგნის ეკრანიზება. ის ფილმი ალბათ ყველას მოეწონებოდა მთელ მსოფლიოში“... ა. მუტინა (სმოლენსკი).

• • •

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წერილის მცირედი ამონაწერები მოვიყვანეთ. ყველა იმ წერილისაგან კი მთელი წიგნი დაისტამბებოდა.

კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებისადმი ინტერესი სცილდება ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის საზღვრებს... წელს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ორგანოს „ლუმანიტეს“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ფრანგი კრიტიკოსის რეჟი ბერეჟერონის სტატია ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“ ფრანგულ თარგმანზე. ბერეჟერონმა თავის სტატიაში აღნიშნა: უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში „გაერთიანებულმა ფრანგულმა გამომცემლობამ“ საბჭოთა ლიტერატურის თორმეტამდე ნაწარმოები გაგვაცნო. შარშან ჩვენ გავეცანით კონსტანტინე გამსახურდიას საოცარ რაინდულ რომანს — „დიდოსტატის მარჯვენას“, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის.

ამას წინათ კონსტანტინე გამსახურდიამ თვით გამომცემლობის დირექტორის რენე ჰუნტცბიუკლერის წერილი მიიღო.

„ჩვენმა მეგობარმა არაგონმა, — ნათქვამია წერილში, — რომელსაც თქვენ იცნობთ, სხვა კეთილშობილ მიზანთა შორის დაისახა თავს ედო საფრანგეთისათვის საბჭოთა ლიტერატურის გაცნობა. ის ადგენს გადასათარგმნი შრომების პროგრამას და სწორედ მან გვთხოვა გადაგვთარგმნა თქვენი მშვენიერი წიგნიც...

მგონი, თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ იმ ბრძოლაზე, რომელიც ჩვენ გვიხდება საბჭოთა ლიტერატურის გასავრცელებლად. ჩვენს ხალხს, რომლის ცხოვრების დონე დღითიდღე ეცემა, მეტად მძიმე პირობებში უხდება ამ ბრძოლის წარმოება.

თქვენი წიგნის წარმატება სახიჩარულია. ამონაწერები, რომლებსაც გიგზავნით, სრული არ არის... „ლუმანიტე“ დიმანშ“, რომელიც 400.000 ტირაჟით გამოდის, თქვენი რომანის ნახატებიან ფელეტონს აქვეყნებს... გაზეთმა „ფრანს ნუველმაც“ დაბეჭდა „დიდოსტატის მარჯვენიდან“ ნაწყვეტები... ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს გავეცნოთ თქვენს მშვენიერ ქვეყანას. იმედი გვაქვს მომავალ ზაფხულს ჩამოვიდეთ და გვექნეს თქვენი გაცნობის სიამოვნება“...

ფრანგული წიგნის კრიტიკულ ბიულეტენში „დიდოსტატის“ ფრანგული გამოცემის გამო დაბეჭდილ რეცენზიაში აღნიშნულია, რომ რომანი სათავისაკენ დაბრუნების ცდაა, მკვდრეთით აღდგომაა იმ ეპიური წარსულისა, რომელზეც თავის დიდებას აშენებს ახალგაზრდა ხალხი. ხოლო ერთ-ერთი კრიტიკოსი წერს: ამას წინათ გამოქვეყნებულ საბჭოთა რომანებს შორის საპატიო და განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს გამსახურდიას რომანს „დიდოსტატის მარჯვენას“, განა რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“? თხზულებას უდავოდ საუკეთესო შრომათა მგზნებარე თვისებები აქვს, მაგრამ ის არის მაინც მდიდარფერებიანი ქრონიკა, ერთ და იმავე დროს რეალისტური და ლირიული პოემა...

ამასწინათ „დიდოსტატის მარჯვენა“ ინგლისურ ენაზეც გამოიცა. ვ. ერისთავი მოსკოვის გამომცემლობამ „საბჭოთა ლიტერატურა უცხოურ ენებზე“, ხოლო ჩეხოსლოვაკიაში მზადდება კ. გამსახურდიას თხზულებათა მრავალტომეული კრებული. „დიდოსტატის მარჯვენას“ სკემს აგრეთვე სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა.

ხვალ ინგლისიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სხვა ქვეყნებიდან მოვა წერილები, მზითა და სიყვარულით სავსე, რომლებსაც უბრალოდ ეწერებათ: საქართველო, კონსტანტინე. გამსახურდიას... მწერალს, რომელმაც დაასწრო მშენებლობის გეგმას და ქვაში ჩაკირული საიდუმლო გააცხადა სიტყვაში.

გ. გოგიაშვილი.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დიდოსტატის მარჯვენის“ ინგლისური გამოცემა.

მეორე საკავშირო კინოფესტივალზე

კეთილი მაცნე

წერილები, გაზეთები, ჟურნალები დასტად ეწყო. სალიხმა ცალცალკე გადმოალაგა, ჩანთა ავსო, ფოსტის კარი გამოიხურა და ნელი ნაბიჯით გაჰყვა ნარინჯოვან გზისპირს.

სოფელში გასვლა ჯერ აღრე იყო. მთელი ჯალაბი დილიდანვე მინდვრად გაიკრიფა. პლანტაციებში მანდილების ცისარტყელა გაშლილიყო.

...მთებს იქით ჩაიძირა მზე. სხივებმა ყველაზე მაღალ ხეთა კენწეროებზე დაიწყო ლაპლაპი.

მალე ბინდი დაეშვება ველზე და პლანტაციებიც შეისვენებენ ჭრელკაბიან ქალიშვილთა „ტრფიალისაგან“. სოფელი სიცოცხლით ივსება, ახმიანდება და სალიხიც მეორედ ჩამოიღლის კარდაკარ, დღეს მეორედ დაცლის თავის ჩანთას, ახალი ამბების სურნელებას დააყენებს.

უყვარს სალიხს სიხარულის მაცნედ მისვლა, კარგი სიტყვის მიტანა, და ამიტომაც ეამაყება. თანასოფლელები მშვიდობის კეთილ მაცნეს ეძახიან სალიხს.

ერთი შეხედვით კაცი იტყვის: ფოსტალიონობა რა ბედენაა. მაგრამ ვის არ ჰქონია შემთხვევა და არ განუცდია სიტკბო ამ საესურველი სტუმრისაგან. ხანდახან ნატრობ კიდეც მის გამოჩენას, გული გელევა მოლოდინით...

თუმცა იგი ხალისიანია, შუბლგახსნილი, მაგრამ ზოგჯერ ცუდი დღეც გამოერევა, დარდი შეაწუხებს. ამ ბარათს რაღაც სასიკეთო პირი არ უჩანსო, — გუმანით მიხვდება და საოცრად მძიმედ ეჩვენება ჩვეულებრივ იოლად სატარებელი ჩანთა.

მადლობა ღმერთს, ახლა ასეთი ბარათები იშვიათი გამონაკლისია, მაგრამ მაშინ, იმ საშინელი ომის დღეებში რა ყოფაში იყვნენ ეს სიხარულის მოტრფიალე ადამიანები. როგორ გინდა მშობელს ამცნო: შვილი აღარა გყავს, დედას გაადგინო: ხეიბარი დარჩა შენი ერთადერთი ვაჟი, ან — დაენგრა კერა შენს ქალიშვილს, ოჯახს ბურჯი გამოეცალაო!..

...სალიხმა, ჩვეულებრივ, მეგობართან შეუხვია გზისპირზე მდგომ სამჭედლოში. მოხუცი ოსმანი საბერველს ექაჩებოდა. ცეცხლი გიზგიზებდა და ნაკვერცხლებში ვარდისფრად ღუოდა რკინა. გრდემლთან მკლავებდაკაპიწებული ახალგაზრდა იდგა, ძალუმად სცემდა უროს და სალტეს ამრგვალებდა; ურმისთვის თუ უნდოდა იგი, თვალმორღვეული რომ იდგა გარეთ. მაგიდაზე ელაგა გაპრიალებული გუთნის ნაწილები, მავთულზე ასხმული ნალები, სამიოდე ცელი და ნამგალი. კუთხეში კი გადატეხილი, დაჟანგული სატევარი იყო მიგდებული.

ოსმანმა თაროდან ჩვარი გადმოიღო, გულდაგულ შეიწმინდა ხელი და ახალი გაზეთი გამოართვა სალიხს, რომელიც ინტერესით ადევნებდა თვალს ჭაბუკს.

— ამას დამიხედე ერთი, ულვაშები დაუმშვენებია კიდეც! შვილი მოგესწრო, ოსმან, მხარში ამოგიდგა სანაქებო ვაჟი.

ოდნავ კი ჩაეღიმა მურადს, მაგრამ ისევ განაგრძო თავისი საქმე და ქება შეიშნო, თითქოს მას არც კი ეხებოდა ეს საუბარი.

— დროც არის, ჩემო კეთილო, და ძალაც შესწევს. მაგის ხნისა რომ ვიყავი, მარტო ვარჩენდი მთელ ოჯახს... შენ ეს მითხარ, ქვეყანაზე რა ამბავია? — დინჯად თქვა ოსმანმა, მარცხენა ხელის გული გადაისვა შუბლზე, მერხზე ჩამოჯდა და გაზეთს ჩააცქერდა.

მაშინაც ასე იცოდა ოსმანმა: ოფლს მოიწმენდდა მარცხენა ხელით, დინჯად, აუჩქარებლად გახსნიდა ჯარიდან გამოგზავნილ ბარათს, სალიხი რომ მოუტანდა ხოლმე ძმაკაცს. უცნობი მეთაურები მადლობას უთვლიდნენ მოხუც მამას — მამაცი და გამგონე შვილი გაგიზრდიაო. ამ სამოოდ წლის წინათ მურადი და სალიხის ვაჟი ამირანი ერთად გაიწვიეს არმიაში, სასახელოდ მოიხადეს ვალი, ერთად დაბრუნდნენ, და აი კოლმეურნეობაში დაიწყეს მუშაობა.

— არა, როგორც ეტყობა, ომი აღარ იქნება... რას გაბედავენ!? დახე... რაღაც თანამგზავრი აფეთქებულა ამერიკაში და მათივე ხალხი დაუხოციაო, — ირონიულად ამბობს მჭედელი და თან კითხვას განაგრძობს.

სალიხი კი თაროს ზემოთ გაკრულ „ოგონიოკის“ გარეკანს დასცქერის: კაცი ქანდაკად დამდგარა. თითქოს სადღაც უნახავს იგი სალიხს. თუმცა არა, არ იცნობს, უცხოელია, მაგრამ ასეთი ვაჟკაცური, ძლიერი გამომეტყველება განა ერთის სახეზე ამოუკითხავს! ხშირად შეხვედრია მათ. ასე გაბედულად დგანან საბჭოთა მესაზღვრეები სამშობლოს სადარაჯოზე. ეს კი ინდონეზიელი ყოფილა. საქართველოსავით სიმღერების ქვეყნის შვილი და, უთუოდ, ქართველივით სამშობლოს მოტრფიალე, გულადი, ალალმართალი.

დგას ინდონეზიელი მტკიცედ. სახის ძალოვანი კუნთები დაუძაბავს. ხელში თოფი უჭირავს. რკინის მუზარადი ახურავს თავზე. შორს იყურება, და ეტყობა, რომ იქ, შორეთში რაღაც არ მოსწონს. მის უკან კი სამშობლოს ნათელი სურათებია — თეთრი ვარდებით შეფენილი ცა, გაზაფხულის ოქრომკედით მოქარგული მხარე, ახალგაზრდებით მოფენილი სკოლის ეზო, ლამაზ მომავალზე მეოცნებე ჭაბუკი მუშა და ზღვის უსაზღვროდ მოყვარული კუნთმაგარი მეთევზეები. ყველაფერ ამას — მშვიდობიან ცხოვრებას სამშობლოს სიკეთეს, მის წმინდა საზღვრებს სდარაჯობს იგი — ინდონეზიელი გუშაგი.

ოსმანმა გული იჯერა და კვლავ ქურას მიუბრუნდა. სალიხმაც კეთილი უსურვა და თავის გზას გაუდგა. მიდის, და თვალწინ მაინც ის გუშაგი უდგას. არა, უმიზეზოდ არ აღბეჭდილა მის სახეზე ეს მკაცრი გამომეტყველება. უცხოელი მოძალადენი ემუქრებიან მის ლამაზ სამშობლოს, ეცილებიან მის სიმდიდრეს, სიტურფეს. მაგრამ არ დათმობს იგი... და სალიხსაც უხარია, რომ ქვეყანაზე ასე მომრავლდა მშვიდობის არმია, რომ აღარა სურთ ადამიანებს ცაზე ღრუბლების დაზავეთება, ხანძრის დანთება და ავლის მოფენა, მიწაზე სისხლის მეწყერის დაცურება.

სალიხ ბეჟანიძემ თავისი თვალით ნახა სამამულო ომის საშინელება. არასოდეს არ დაავიწყდება ერთი შემთხვევა: მეგობარი მძიმედ დაიჭრა, სისხლისგან იცლებოდა და მაინც წინ მიიწევდა. თურმე, იქვე ახლოს მისი მშობლიური სოფელი ყოფილა, და ვერ ჩაალწია. თუმცა რა... შავად შებოლილ თეთრ სახლებს შორის მხოლოდ ერთი ჭკუაზე შემცდარი გრძელნაწნავებიანი ქალიშვილი დარბოდა და რაღაცას ეძებდა. ვანია ამბობდა: ჩემს საცოლეს ნაწნავები კოჭებამდე სცემსო, ლამაზ დიდ ოჯახს შევქმნიო. ვინ იცის, ვანიას საცოლე თუ იყო ის საწყალი.

ფიქრობს სალიხი მეგობარზე, შვილივით რომ უყვარდა, ინდონეზიელ გუშაგზე, ჩვენს ერთგულ საბჭოთა მესაზღვრეებზე, შორეულ ალჟირსა და ნიასალენდში აწიოკებულ კეთილ ადამიანებზე, დადის კარდაკარ და სიყვარულით გასცქერის თავის ლამაზ სოფელ ზენდიდს. ეს ხომ სულ პატარა ნაწილია დიდი სამყაროსი, მაგრამ იგი რომ მოისპოს, სამყარო დაბნელდებოდა სალიხისათვის — მიწა, მშობლიური მიწა-წყალი, ოჯახი, თბილი კერა — რა ძალა აქვს ამას! უამისოდ რა აცოცხლებს სალიხს. აი ამ პატარა რგოლებისაგან შედგება უნაპირო, შავი ზღვიდან თეთრ ზღვამდე გადაშლილი ჩვენი სამშობლო.

ამას გრძნობს სალიხი და მხნეობა, ენერგია ემატება, თორემ თვითონაც უკვირს — ამდენს დადის, სამინდის ნაკვეთს უვლის, ოჯახს პატრონობს, ბავშვი ხომ არ არის, ნახევარი საუკუნე მოლია და მკლავს არ უღალატნია მისთვის, ძალა არ მოჰკლებია მუხლში.

...გვიან დაბრუნდა შინ სალიხი. ულფეთი, როგორც ყოველთვის, მხიარული, ქმაყოფილი სახით შემოეგება ქმარს. ბავშვები უკვე დაუძინებია, ვახშამი გაუწყვია სალიხის მოლოდინში. ამ ბეჟიან ქალს აბარია სალიხის დიდი კერის გაუმჭრალი ცეცხლი და აგერ 28 წელია გულმოდგინედ დასტრიალებს მას. თვითონ კი მხოლოდ 43 წლისაა.

ოთხი წლის წინათ მეათედ ჩამოიტანეს სალიხის სახლის სხვენიდან კაკლისხის აკვანი და მეათედ დაარწიეს იგი. კიდევ ერთხელ გადაიხადეს ძღობა ბეჟანიძეების ოჯახში. კიდევ ერთხელ დალოცა მამულიშვილმა დედა-სამშობლო, მერე მეუღლე — დედა. დალოცა დედის სიხარული — ათი შვილი, დედის მიერ ფაქიზად მოვლილი სახლი, დედის ხელით დარგული და დამყნილი ნარინჯები, მისი ოფლით მორწყული ბაღი, მისი მარჯვე თითებით ჩაკრული პური.

რა შეიძლება უთხრა ასეთ დედას — ამ ერთი შეხედვით სუსტს, მაგრამ გასაოცრად ძლიერ ქალს, რა შეიძლება უსურვო დიდი სიკეთისა და ბედნიერების გარდა.

ამ სამი წლის წინათ სალიხმა პირველად დაარღვია თავისი ჩვეულებრივი წესი. დაავლო ფოსტას ხელი და სანამ სოფელში მოატარებდა, შინისაკენ გაეშურა.

— მასპინძელო, სამახარობლო მერგება! — ჭიშკრიდანვე იძახოდა სალიხი და გაზეთს მოაფრიალებდა, — გმირი დედობა მომილოცავს, ულფეთ, გმირი დედობა.

ჭეშმარიტად გმირია იგი. უფრო შესაფერ სახელს ვერ მოძებნი ასეთი ქალებისათვის. ან საიდან აქვთ ამდენი ძალა, ასეთი ნებისყოფა, ესოდენ ულეველი სითბო. მთელ დღეს მოსვენებულს ვერ ნახავ ულფეთს, ამოდენა ოჯახი, შვილები, კოლმეურნეობა, პლანტაცია... და ყველაფერს ამას ხალისით აკეთებს.

ოჯახში კი განა ყოველთვის ლხინია! გაჭირვებაც არის ხოლმე... რომელიმე გოგონა ან ბიჭი სიცხიანი წევს, რომელიმემ იცელქა და მასწავლებელმა დატუქსა, ან წერილი იკვიანებს სასწავლებლად ქალაქს წასული შვილისაგან, ან უდროოდ დაჭკრავს სიცივე და ნასათუთებ ნარინჯებს დააზრობს. მაგრამ ულფეთი მაინც ნაოქს არ შეიკრავს შუბლზე; იცის, რომ უმკურნალებს პატარას და ისიც მორჩება, დატუქსავს ცელქს და ჭკუას მოაკრებინებს, ნარინჯები კი ისევ აყვავდებიან, ოღონდ... მშვიდობა იყოს ქვეყნად!

...თორემ განრისხდება ეს უწყინარი დედა, აბჯარს აისხამს კეთილი მაცნე, რომ დაიცვას სოფლისა და ოჯახის სიმშვიდე, დედისა და მეუღლის მანდილის სიწმინდე.

ვაჟა ჯალაღანია.

ქედ.

სურათზე: გალინა ულანოვა.

ფანტასტიკური დასი

ნიუ-იორკი, 24 აპრილი. (საკდესი.). გუშინ ნიუ-იორკის უდიდეს თეატრ „მეტროპოლიტენ-ოპერაში“ გაიმართა სსრ კავშირის დიდი ფეატრის საბალეტო დასის პირველი საკონცერტო წარმოდგენა. ნიუ-იორკის მცხოვრებლები უდიდესი მოუთმენლობით ელოდნენ ამ კონცერტს, რომლის პროგრამაში შედიოდა ნაწყვეტები საბალეტო სპექტაკლებიდან, ხალხური ცეკვები, კომპოზიციები და დივერტისმენტები.

კონცერტს უდიდესი წარმატება ჰქონდა. გუშინ ნიუიორკელებმა ნახეს საბჭოთა ბალეტის მსახიობთა ოსტატობა მთელი თავისი ბრწყინვალებითა და მრავალფეროვნებით. მაყურებლები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ გალინა ულანოვას ღრმად ლირიკულ გამოსვლას კომპოზიციაში „შოპენიანა“, ვ. პლისეცკაიას ტემპერამენტიან ცეკვებს ნაწყვეტებში „ვალპურგის ღამიდან“, რ. სტრუჩკოვას, ნ. ტიმოფეევას, ა. ლაფუერისა და სხვა საბჭოთა მსახიობების ოსტატობას.

ამერიკის პრესა აქებენებს აღტაცებულ გამოხმაურებას დიდი თეატრის საბალეტო დასის უკანასკნელი კონცერტის გამო. ის, რაც ხდებოდა

სსრ კავშირის დიდი თეატრის საბალეტო დასის უდიდესი წარმატება ნიუ-იორკში

გუშინ საღამოს „მეტროპოლიტენ-ოპერაში“, როცა დიდი თეატრის ბალეტი გამოდიოდა თავის საკონცერტო პროგრამით, წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი, თითქმის დაუჯერებელია, თუნდაც საკუთარი თვალით რომ გენახათ იგი. ამ ფანტასტიკურმა დასმა ტექნიკურად მიაღწია ყველაფერს, გარდა იმისა, რომ არ აფრენილა კოსმოსურ სივრცეში.

ნიუ-იორკი, 24 აპრილი. (საკდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის“ თეატრალური კრიტიკოსი ჯონ მარტინი აღტაცებულ შეფასებას აძლევს „გედის ტბის“ მეორე წარმოდგენას, რომელიც სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის მსახიობთა ახალმა შემადგენლობამ შეასრულა. იგი აღნიშნავს, რომ ორკესტრი გენადი როჟდესტვენსკის დირიჟორობით უკრავდა მძაფრი ტემპით, მშვენივრად, რამაც განუზომლად შეუწყო ხელი შემსრულებლებს.

ყველა ცეკვავდა ბრწყინვალედ და აღფრთოვანებით, წერს კრიტიკოსი, მთელი სპექტაკლი იყო ცოცხალი და მკაფიო, წარმტაცი და ბრწყინვალე შესრულების ტექნიკით.

ნინო ტიმოფეევამ პიროდაპირ დაიპყრო მაყურებლები ოდეტას-ოდილიას როლში. იქ, სადაც წინა დღით საუცხოო პლისეცკაიამ თითქოს იპოვნა როლის თავშეკავებული გაგების საშუალებანი, ტიმოფეევა მაყურებლებს ატყვევებდა თავისი ცეკვის უშუალობით. ოდეტას როლში იგი იყო დრამატულად მიმზიდველი, რომანტიკული ნაღვლის ოდნავი ირვით, რაც მისი სხეულის მკვირცხლ-ყველურ მოძრაობაში გამოსჭვიოდა. განსაკუთრებით კარგია მისი ხელები. მისი უნარი მართოს თავისი მოძრაობა იმდენად საუცხოოა, რომ სრულიად თავისუფლად და დამჯერებლად ქმნის ხასიათს, ქორეოგრაფიის მკაცრი მოთხოვნების მიუხედავად.

მისი ოდილია დამაჯერებელია, მკვეთრია, ცბიერი და არაადამიანურია. ის, რასაც იგი შესანიშნავ პა-დე-დეში აკეთებს, ბალეტის ისტორიაში შევა. იგი აკეთებს 32 ფუეტეს, პიროდაპირ არ შორდება ადგილს მაქსიმალური ლაღი ტემპით. რა ტექნიკა! რა მსახიობია!

ბორის ხოხლოვი ასრულებდა პრინცის როლს და უბადლო იყო ამ როლში. მისი პა-დე-დე ბრწყინვალე იყო, ისეთი სიმსუბუქით ცეკვავდა, რომ მოძრაობა ელექტრულად მარტივი ჩანდა.

მაგრამ სპექტაკლი აგებული როდია მარტო ამ როლებზე, რომლებსაც ვარსკვლავები ასრულებენ. მთელი მისი ნაწილები მშვენივრად შეხმატკბილებულია და მთავარი ყურადღება ექცევა იმას, რაც საჭიროა. მაგალითად, ხუმარა, თუმცა ამ პარტიას ბრწყინვალედ ასრულებს გიორგი ფარმანიანცი, ერთი წუთითაც არ აფერმკრთალებს საერთო მოქმედებას. რა თქმა უნდა, მან არც უნდა გააკეთოს ეს.

სამი გედის პარტიას ამჯერად ასრულებდნენ ლიდა ივანოვა, ნინო ჩისტოვა და ლესმა ჩადარიანი. ისინი მშვენივრები იყვნენ. პირველ აქტში ჩისტოვა მონაწილეობს პა-დე-ტრუაში (რა მშვენიერია იგი!) ნინო ფედოროვასთან და ალბერტ ტუშკინთან ერთად. ისინი შესანიშნავი არიან. ესპანურ კვარტეტს ასრულებენ სუსანა ზვიაგინა, ირინე ჩუბი, იაროსლავ სეხი და გერმანე სიტნიკოვი. პირდაპირ ყოველი მუსიკალური ფრაზის ბოლოს გაისმოდა ძახილი „ვაშა“ და მჭუხარე ტაში.

ქართული ზამგარი

თბილისის ბოტანიკურ ბაღში არის ერთი კუთხე, რომელიც ყვავილების მოყვარულთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ეს არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის კავკასიის ფლორის განყოფილება, სადაც მცირე ტერიტორიაზე განლაგებულია კავკასიის მცენარეული სამყაროს ყველა წარმომადგენელი.

აქ არის ნაკვეთები, რომლებზეც გაშენებულია ქართული ზამბახი, თავისი შეფერილობის იშვიათი სილამაზით აღტაცებას რომ იწვევს. ახლა ზამბახი ბყვავის. ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელი და ჩვენი ყოფაცხოვრების შემამკობელი ზამბახისა და სხვა საუცხოო ყვავილების ახალი ჯიშების გამოყვანისათვის დაუღალავად შრომობენ მეცნიერი-ბოტანიკოსები ნინო კახელაძე, ბორის გავრილენკო და ბუნების სხვა მგზნებარე მოყვარულები.

ქართული ზამბახის სახელი დიდი ხნია გასცდა ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს. მას იცნობენ საბჭოთა ქვეყნის ბევრ ქალაქში, საიდანაც მოდის წერილები, რომლებშიც თხოულობენ ბოლქვების გაგზავნას. ამის შესახებ იწერება ლენინგრადელი პროფესორი გ. ი. როდიონენკო, რომელსაც სურს ჩრდილოეთში გადანერგოს ქართული ზამბახი.

აი კრასნოდარის მხარის ეისკის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლის ნ. ვ. აჩკასოვის წერილი. ამ სკოლაში შექმნილია ზამბახის მცოდნეთა წრე. სკოლის ნორჩ ნატურალისტებს შეუგროვებიათ ყველა ადგილობრივი სახეობის ველური ზამბახი. ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც „კოროლკოვი“ ეწოდება, საინტერესოა თავისი ორიგინალური ფორმით და წააგავს ქართულ ზამბახებს, მაგრამ იგი უფრო ტენიან ადგილებში იზრდება. „რაოდენი სიხარული და სჯა-ბაასი აქვთ ახლა ნორჩ ნატურალისტებს, რომლებიც ზამბახის კულტურაზე მუშაობენ“, ამთავრებს წერილს მასწავლებელი და თხოულობს გაუგზავნონ ქართული ზამბახების ბოლქვები.

ამ დღეებში კი აქ იყო უცხოელი სტუმარი, ამერიკელი კორნელის უნივერსიტეტის ბოტანიკის პროფესორი რანდოლფი მეუღლით. იგი საბჭოთა კავშირში მოგზაურობდა ერთი დღით შემოიარა თბილისში, რომ მთელი ეს დღე დილიდან საღამომდე ბოტანიკურ ბაღში გაეტარებინა. საინტერესო ფაქტია: პროფესორ რანდოლფს 4 აკრ მიწაზე გაშენებული აქვს მხოლოდ ზამბახები. მაგრამ ისეთი ზამბახები, როგორიც ქართულია, მას ჯერ არ შეხვედრია მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში.

„ჩვენ ძალიან გვაინტერესებდა გვენახა მრავალფეროვნება ზამბახებისა, რომლებიც კავკასიაში იზრდება“, — წერს რანდოლფი. ამერიკელმა მეცნიერმა დიდი მადლობა გადაიხადა იმ თესლისათვის, რომელიც მას აქ აჩუქეს. პროფესორი რანდოლფი დაპირდა, რომ ბოტანიკურ ბაღს გამოუგზავნის წიგნს „ბაღის ზამბახები“. ამ წიგნს ამჟამად ბეჭდავს ამერიკის ზამბახის მცოდნეთა საზოგადოება, რომელშიც ხუთასი ათასზე მეტი წევრია.

აქ შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა, მაგრამ არ შემძლია ამით დავამთავრო. ქართულ ზამბახს, ისევე როგორც კავკასიის ფლორის განყოფილების ყველა მცენარეს ჯერ კიდევ აკლია საჭირო ყურადღება. მცენარეები უწესლობით ჭკნება, ხამგიეროდ ჰყვავის გულგრილობა ხახალხო სიმდიდრისადმი.

კ. პეტრუსინი.

• • •

სურათზე: ქართული ზამბახი თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

ფოტო გ. გოგოხიასი.

„ნოიეს დოიჩლანდი“: „დროული გაფრთხილება“

ბერლინი, 24 აპრილი. (საკდესი). დღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ დაბეჭდა სარედაქციო სტატია „დროული გაფრთხილება“, რომელშიც მიეახლმება საბჭოთა მთავრობის ამა წლის 21 აპრილის ნოტას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამ ნოტაში ნათქვამია, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობა, ახორციელებს რა ატომური შეიარაღების პოლიტიკას, ცდილობს მსოფლიო დააყენოს მომზდარი ფაქტის წინაშე და მარცხი მოუმზადოს მომავალ მოლაპარაკებას ჟენევაში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური შეიარაღების მომზრეთა ამ ზრახვების დამადასტურებელ ერთ-ერთ ფაქტად გაზეთი აღნიშნავს დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრის შტრაუსის გამგზავრებას შეერთებულ შტატებში, სადაც, როგორც ხაზგასმით აღნიშნავს „ნოიეს დოიჩლანდი“, იგი ამერიკელ სამხედრო მოღვაწეებთან ერთად განიხილავს ბუნდესვერის ატომური შეიარაღების დაჩქარების საკითხებს.

სტატიაში აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ავანტიურების პოლიტიკა, რასაც ბონში ახორციელებენ, საფრთხეს უქმნის პირველ რიგში გერმანელ ხალხს. იგი ზიანს აყენებს უწინარეს ყოვლისა დაძაბულობის შენელების გზით ორივე გერმანული სახელმწიფოს „დაახლოების განხორციელებისა და ამით გერმანიის გაერთიანების დაწყების შესაძლებლობას. გაფრთხილება, რომელსაც საბჭოთა კავშირის საპროტესტო ნოტა შეიცავს, დროულია — იგი გაკეთდა ჟენევის თათბირის წინ. გერმანიის საზოგადოებრიობამ უნდა იზრუნოს, რომ ეს გაფრთხილება აგრეთვე დროზე მოისმინონ, გაიგონ და გაითვალისწინონ.

ინდონეზიის პრეზიდენტის სუკარნოს ვიზიტი თურქეთში

ანკარა, 24 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო, რომელიც მოგზაურობს აზიის, ამერიკისა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. ესენბოგის აეროდრომზე მას შეხვდნენ თურქეთის პრეზიდენტი ბაიარი, პრემიერ-მინისტრი ადნან მენდერესი და მინისტრები.

ყოველი მხრიდან

ბონის მინისტრის წამქეზებელი განცხადება

ბონი, 24 აპრილი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა შტრაუსმა, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება, კვლავ გააკეთა წამქეზებელი განცხადება, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერება. როგორც დპა-ს სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, ნებრასკის შტატში ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ავიაციის მთავარ ბინაში ყოფნის შემდეგ შტრაუსმა მოურიდებლად განაცხადა, რომ ამ ავიაციის უკვე ახლა აქვს საბრძოლო სიმძლავრე, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ „რამდენჯერმე მოსპოს ისეთი სტრატეგიული სივრცე, როგორიც საბჭოთა კავშირს უკავია“.

აქვეყნებს რა დღეს შტრაუსის ამ საომარ განცხადებას, რომელიც პირველად როდი მიმართავს მუქარას საბჭოთა კავშირისადმი, ადენაუერის პარტიის ორგანო გაზეთი „რაინიშე პოსტი“ მის გვერდით ათავსებს ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობას, რომელშიც ნათქვამია: „მიუხედავად მოსკოვის ნოტისა, პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, როგორც ამტკიცებენ, გადაწყვეტილი აქვს მოითხოვოს ნატოს ქვეყნებისათვის ამერიკული რაკეტებისა და რეაქტიული თვითმფრინავების მიწოდების შემდგომი გადიდება“.

ეს მოკლე ცნობა შუქს ფენს იმ მიზეზებს, რომლებმაც ბონის მინისტრს შთააგონეს წამქეზებელი განცხადებანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სწორედ ახლა, საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირისათვის მზადების პერიოდში, ამერიკის ოფიციალური წარმომადგენელები შტრაუსთან აწარმოებენ მოლაპარაკებას დასავლეთ გერმანიის არმიის ატომურ-რაკეტული შეიარაღების შესახებ. თუმცა ამ მოლაპარაკებას პრესა საიდუმლოს უწოდებს, ამერიკის სამხედრო წარმომადგენელნი არ მალავენ თავიანთ განზრახვებს. როგორც დღეს გაზეთი „ნიიე ციურიხერ ციტუნგი“ იუწყება, ევროპაში ამერიკის მე-7 არმიის სარდალმა გენერალმა ედლმანმა პირდაპირ განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერმა უნდა მიიღოს იარაღი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ატომური მუხტებით. „ჩვენ აღუთქვით, — თქვა ამერიკელმა გენერალმა, — რომ ჩვენი მოკავშირეები მიიღებენ ასეთ იარაღს, და კიდევაც შევასრულებთ ჩვენს დაპირებას“.

ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ შტრაუსის მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის მიზანია დაჩქაროს ბუნდესვერის ატომურ-რაკეტული შეიარაღება, იყვევს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმ პოლიტიკური წრეების შემფოთებას, რომლებიც დაინტერესებული არიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით და ევროპაში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მოლაპარაკებისათვის ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნით.

ერთმა უგნურმა თაგუნამ...

ერთმა უგნურმა თაგუნამ, — ვამბობთ... ეს ისე, სიტყვამ მოიტანა, თორემ თაგუნა რა საკადრისია, საქმე საკმაოდ ცნობილ ჯენტლმენს, განდიდების მანიით შეპყრობილ, სამოქალაქო ტანსაცმლით შენიღბულ ომის გამჩაღებელს, ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკის გენერალურ მდივანს, მემარჯვენე სოციალისტ პოლ ანრი სპაააკს შეეხება.

და თუ, მკითხველო, დაგჭირდეთ მოუთითოთ ისეთ კაცუნებზე, რომლებსაც მაღალფარდოვანი სიტყვებით შეუძლიათ ილაპარაკონ სამშობლოს სიყვარულზე, სოციალიზმზე, მაღალ იდეებზე, მშვიდობაზე, თუმცა მათ არც სამშობლო სწამთ, არც სოციალიზმი, არც მაღალი იდეები და არც მშვიდობა, შეგიძლიათ ასეთი კაცუნების ტიპად სპაააკი დაასახელოთ.

**სპა